



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის
რეგულირების ზეგავლენის შეფასება

PHOTO CREDIT TETRA TECH

31. 05.2019

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ განსახილველად. დოკუმენტი მომზადდა Tetra Tech-ის მხარდაჭერით.

ავტორები:

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

ანატოლი კორეპანოვი

მაგდა ბზიკაძე

დავით ობოლაძე

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

გიორგი არზიანი

რატი ფრუიძე

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ნანა მეგრელიშვილი

ნელი გიუტაშვილი

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

შორენა კახიძე

ნესტან გაფრინდაშვილი

საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი

სოლომონ სონდულაშვილი

თინათინ კვერნაძე

დოკუმენტი მომზადებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთვის, **USAID**-ის კონტრაქტის ნომერი **AID-114-C-15-00001**, დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (**GGI**).

ანგარიში მოამზადა:

Tetra Tech-მა

159 ბანკის ქუჩა, Suite 300

ბერლინგტონი, ვერმონტი 05401 აშშ

ტელეფონი: (802) 495-0282

ფაქსი: (802) 658-4247

ელ-ფოსტა: international.development@tetrattech.com

ძირითადი საკონტაქტო პირები:

ლევან სამადაშვილი, პროექტის ხელმძღვანელი
(lsamadashvili@ggi.ge)

ჯესი ბიდელი, პროექტის მენეჯერი (jesse.biddle@tetrattech.com)

კელი კიმბელი, პროექტის მენეჯერის მოადგილე
(kelly.kimball@tetrattech.com)

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს
კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

31.05.2019

დათქმა

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს, პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება აგრეთვე არ ასახავდეს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის
შეხედულებებს

სარჩევი

აკრონიმები.....	2
განმარტებები	3
1. ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
2. პროცედურული საკითხები და დაინტერესებულ ჯგუფებთან კონსულტაცია.....	7
2.1 პროცედურული საკითხები	7
2.2 დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია	8
3. პრობლემის განსაზღვრა	14
3.1 პოლიტიკის კონტექსტი	14
3.2 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო	18
3.3 მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდის და სპორტში ჩართულობის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამები	21
3.4 არაგადამდები დაავადებები, ფიზიკური აქტივობა და მასობრივი სპორტი	22
3.5 საბაზისო სცენარი	37
4. რეფორმის მიზნები.....	45
5. ალტერნატივების აღწერა	50
6. ალტერნატივების ანალიზი.....	57
6.1 თვისებრივი შეფასება.....	57
6.2 რაოდენობრივი ანალიზი	72
7. მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი.....	81
8. რეკომენდაციები.....	85
9. განხორციელება და მონიტორინგი.....	89
10. დანართი 1 - თვითმმართველობების არსებული პროგრამები ფიზიკური აქტივობისა და სპორტის მიმართულებით	90
11. დანართი 2 - სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურის მინიმალური მოთხოვნები ევროკავშირის ქვეყნებში	96
12. დანართი 3 - რაოდენობრივი ანალიზი განათლების სექტორში	97
13. დანართი 4 - რაოდენობრივი ანალიზი ჯანდაცვის სექტორში	103

აკრონიმები

ააიპ - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

აგდ - არაგადამდები დაავადებები

ა/რ -ავტონომიური რესპუბლიკა

დაავადებათა კონტროლის ცენტრი - საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

მლნ -მილიონი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

შშმპ -შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

ჯანდაცვის სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმო - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

BMI -სხეულის მასის ინდექსი

DALY -ჯანმრთელი ცხოვრების დაკარგული წლები

NALAG - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეროვნული ასოციაცია

PAF - დაავადების გავრცელებაში კონკრეტული რისკ ფაქტორის წილი

RIA - რეგულირების გავლენის შეფასება

SDG -მდგრადი განვითარების მიზნები

UN Habitat - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახლების პროგრამა

განმარტებები

ფიზიკური აქტივობა - არის სხეულის მოძრაობა, რომელიც იყენებს კუნთის ენერგიას. ფიზიკურ აქტივობას აქვს სხვადასხვა ფორმები: ფეხით ან ველოსიპედით გადაადგილება, ორგანიზებული და არაორგანიზებული სპორტული ვარჯიში, აქტიური დასვენება (ცეკვა, იოგა, სხვ.), ფიზიკური შრომა და სხვა. ფიზიკური აქტივობის დასახასიათებლად გამოიყენება ინტენსივობის მაჩვენებელი.

ფიზიკური აქტივობის ინტენსიობა - ფიზიკური აქტივობის საზომი ერთეული, გვიჩვენებს რამდენად დაძაბული მუშაობს ადამიანი კონკრეტული აქტივობის შესრულების დროს. განასხვავებენ დაბალინტენსიურ, საშუალო და მაღალინტენსიურ ფიზიკურ აქტივობას.

საშუალო ინტენსივობის ფიზიკური აქტივობა - აქტივობის დროს გულის ცემის რითმი და პულსი ოდნავ შეცვლილია - აჩქარებულია.

მაღალინტენსიური ფიზიკური აქტივობა - გულის ცემის რითმი და პულსი საგრძნობლად აჩქარებულია, ორგანიზმი გამოყოფს ოფლს (სირბილი, ველოსიპედით მაღალი სიჩქარით სეირნობა, ენერგიული ცეკვები, აერობიკა, ცურვა, სპორტული თამაშები და სხვა ვარჯიში).

მაღალი მიღწევების (პროფესიული) სპორტი - სპორტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობას და ხელს უწყობს სპორტსმენს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, რაც ემსახურება სპორტსმენტა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

მასობრივი სპორტი - სპორტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ აქტივობას და წარმართება ორგანიზებული ან არაორგანიზებული ფორმით და ამასთან ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, ინტელექტუალურ განვითარებასა და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

სიმსუქნე - სიმსუქნედ განისაზღვრება სხეულის მასის ინდექსის (BMI) 30-ზე მაღალი მაჩვენებელი. სხეულის მასის ინდექსი ადამიანის წონის თანაფარდობაა მისი სიმაღლის კვადრატთან (კგ/მ²).

ჭარბი წონა - ჭარბ წონად განისაზღვრება სხეულის მასის ინდექსის (BMI) 25-ზე მაღალი მაჩვენებელი. სხეულის მასის ინდექსი ადამიანის წონის თანაფარდობაა მისი სიმაღლის კვადრატთან (კგ/მ²).

1. ანგარიშის შემაჯამებელი მიმოხილვა

სპორტს აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია აღიარებს, რომ ფიზიკური აქტივობა და სპორტული ვარჯიში წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროცესში. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვნად ამცირებს არაგადამდები დაავადებების (აგდ) რისკ-ფაქტორებს და ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შემცირებას.

მსოფლიო მასშტაბით, 30-დან 69 წლის ასაკში (ნაადრევი), გარდაცვალების შემთხვევათა 71% გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით. აღნიშნული დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს თითოეულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს (WHO, 2014). საქართველოში აგდ-ის შედეგად გარდაცვალების ფაქტობრივი დონე და აგდ-ით გარდაცვალების ალბათობაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.

საერთაშორისო კვლევის ¹ თანახმად, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა საქართველოს ყოველწლიურად 16.8 მილიონი ლარზე მეტი უჯდება², საიდანაც ჯანდაცვის სისტემის პირდაპირი დანახარჯი დაახლოებით 12.4 მილიონი ლარი, ხოლო პროდუქტიულობის დანაკარგი - 4.4 მილიონი ლარი.

აგდ-ს პრევენციისა და კონტროლის მიზნით, 2017 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სტრატეგია, რომელშიც მოსახლეობის დაბალი ფიზიკური აქტივობა მიჩნეულია ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრობლემად. სტრატეგიით და მისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საჯარო უწყების, მათ შორის სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროს, კომპეტენცია შესაბამისი ინტერვენციის გზით ხელი შეუწყოს ამ პრობლემის მოგვარებას.

საქართველოში მოსახლეობის დაბალი ფიზიკური აქტივობა და მონაწილეობა სპორტულ ვარჯიშში ფიქსირდება სხვადასხვა კვლევით. 2016 წელს არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების პოპულაციური კვლევით გამოვლინდა, რომ 18-დან 69 წლის ასაკში მოსახლეობის 82,4% არ არის ინტენსიურად დატვირთული ფიზიკური აქტივობით (კაცები - 72.2%, ქალები - 91.8%). ქართული სპორტის სტატისტიკის ელექტრონულ პორტალზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამჟამად სკოლის მოსწავლეთა მხოლოდ 20% ირიცხება სპორტულ სექციებში/კლუბებში.

მოსახლეობის დაბალ ფიზიკურ აქტივობასა და მასობრივ სპორტში ჩართულობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის: არასაკმარისი დრო სპორტულ აქტივობაში ჩართვისთვის, არასაკმარისი ინფორმირებულობა, სპორტული ობიექტების და ღია საჯარო სივრცეებში შესაბამისი

¹ Ding, D., Lawson, K.D., Kolbe-Alexander, T.L., Finkelstein, E.A., Katzmarzyk, P.T., Mechelen, W., Pratt, M. (2016). The economic burden of physical inactivity: a global analysis of major non-communicable diseases. Lancet Physical Activity Series 2 Executive Committee.

² კვლევა ასახავს 2013 წლის შეფასებებს საერთაშორისო დოლარში.

ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის, კვალიფიციური კადრების არარსებობის და სხვა პრობლემები.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტი. კანონის პროექტი (2018 წლის 10 ნოემბრის რედაქცია) ემსახურება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებას, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა მასობრივი სპორტი, სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან, სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა. კანონის პროექტის ძალაში შესვლა ზეგავლენას ახდენს როგორც მასობრივი სპორტის, ასევე მაღალი მიღწევების - პროფესიული სპორტის განვითარებაზე.

რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, განსაზღვრა კვლევის ამოცანა - გამოეკვლია კანონპროექტის ძალაში შესვლით (**ალტერნატივა 1**) შესაძლო გავლენა და მოსალოდნელი შედეგები (**საბაზისო სცენართან მიმართებაში**) მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდაზე.

ჩამოყალიბდა წარმოდგენილი რეფორმის ძირითადი მიზანი - „გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობა არაგადამდები დაავადებების შემცირებით მოსახლეობაში“ და ქვემიზნები:

- მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა;
- მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა;
- არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში.

კვლევის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი შეხვდა და ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩაატარა დაინტერესებულ მხარეებთან (იხ.: ცხრილი 1, გვ. 10), შეისწავლა სხვა ქვეყნების გამოცდილება და მიმოიხილა სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული მიდგომები და პრაქტიკა. თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა შეაღარა ალტერნატიული სცენარები და დაადგინა, ემსახურება თუ არა რომელიმე მათგანი რეფორმის მიზნებს და როგორ. ქვემოთ მოცემული ცხრილი - მულტიკრიტერიუმების ანალიზი გვიჩვენებს შეფასების შედეგებს:

შეფასების კრიტერიუმი		საბაზისო სცენარი	ალტერნატივა I
1	ეფექტიანობა I - მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა	- - - - -	+/- - - -
2	ეფექტიანობა 2 - მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა	- - - -	+/- - -

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

3	ეფექტიანობა 3 - არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში	-	-
4	მიღწევადობა/მიღწევის სიიოლე	0	- -
5	პოტენციური რისკების შემცირება	0	- -
6	პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია	0	- - -

ალტერნატივის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უწყობს ხელს რეფორმის მიზნების მიღწევას. ამ ალტერნატივის ეფექტიანობა მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდაზე, სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასა და არაგადამდები დაავადებების შემცირებაზე უმნიშვნელოა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ალტერნატივის არაეფექტიანობა განპირობებულია იმით, რომ კანონპროექტის შემუშავების დროს, არ იყო გათვალისწინებული და შეფასებული მისი შესაძლო გავლენა მასობრივი სპორტის განვითარებასა და მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდაზე.

რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული კანონმდებლობის აღსრულება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან და ვერ მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში ჩართულობის ზრდის მიმართულებით. რეფორმის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია, აღსრულებადი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და საკითხისადმი სისტემური მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობის ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა შეიმუშავა ძირითადი რეკომენდაციები (იხ.: თავი 8, გვ. 80).

2. პროცედურული საკითხები და დაინტერესებულ ჯგუფებთან კონსულტაცია

2.1 პროცედურული საკითხები

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) ჩატარდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) ფინანსური მხარდაჭერით.

რეგულირების ზეგავლენის შესაფასებლად სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტების აპარატების, პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის და საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლები. დოკუმენტი მუშავდებოდა 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის ივნისამდე. სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობის გეგმა - ვადების და დაინტერესებული ჯგუფების მითითებით. რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო მოიცავდა დარგთან დაკავშირებული სუბიექტებისაგან ინფორმაციის მიღებას, მიმოწერისა და ინტერვიუების ფორმით. ჯგუფის მიერ ჩატარდა შეხვედრები, როგორც ინდივიდუალური (13 შეხვედრა), ისე ფოკუს-ჯგუფების (5 ჯგუფი) ფორმატში. შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობების, ეროვნული სპორტული ფედერაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების (საჯარო და კერძო სკოლები, სპორტის კოლეჯი) ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის შესაგროვებლად. შეხვედრების პარალელურად სამუშაო ჯგუფი ეცნობოდა დარგში არსებულ აკადემიურ ლიტერატურასა და ადგილობრივ პრობლემასთან დაკავშირებულ კვლევებს. რეგულირების ზეგავლენის შეფასების პროცესში გაკეთდა როგორც თვისებრივი შეფასება, ასევე რაოდენობრივი ანალიზი. შემუშავდა რეფორმის ორი მიმართულების - განათლებისა და ჯანდაცვის - რაოდენობრივი შეფასების მოდელი, რომელშიც მონეტიზებულია მოსალოდნელი შედეგები ათ წლიანი პერიოდისთვის. კერძოდ, განათლების მიმართულებით შეფასდა სკოლის მასწავლებელთა სერთიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები. ჯანდაცვის მიმართულებით კი შეფასდა ის პოტენციური სარგებელი, რომელიც შეიძლება მოიტანოს მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდამ.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეგულირების ზეგავლენის შეფასების პირველადი შედეგების გაცნობა მოხდა 2019 წლის 15 აპრილს.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიურ საკითხებზე კომიტეტის სამუშაო ჯგუფს კონსულტაციას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) კონსულტანტები უწევდნენ.

2.2 დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია

პროექტის განხორციელების პროცესში კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ სუბიექტთან ჩატარდა. მონაცემები ძირითადად შეგროვდა დეკემბრიდან თებერვლის თვის ჩათვლით. პირველ ეტაპზე გამოირკვა და განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა მატრიცა (ცხრილი 1).

ცხრილი 1: დაინტერესებულ მხარეთა მატრიცა

	მცირე გავლენა	დიდი გავლენა
მცირე ინტერესი	- მშობლები; - მშობლები მოწყვლადი ჯგუფებისთვის; - სოციალურად დაუცველი ჯგუფები.	- საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი; - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი; - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; - სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
დიდი ინტერესი	- ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტები; - აჭარის ა/რ მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების,	- საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი; - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; • ქ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; • სპორტული ფედერაციები და გაერთიანებები³; • მასობრივის სპორტის ორგანიზაციები; • მუნიციპალური ააიპ-ები; • ბაღების მართვის სააგენტო; • ფიზ-აღზრდის მასწავლებლები; • მოყვარული სპორტსმენები; • კერძო სპორტული ორგანიზაციები (ფიტნეს კლუბები); • სპორტის უნივერსიტეტი; • სპორტის კოლეჯი; • კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები; • კერძო და საჯარო სკოლები.	
--	--	--

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების პარალელურად სამუშაო ჯგუფი აგროვებდა მონაცემებს და მიმოიხილავდა დარგში არსებულ კვლევებს. მონაცემების ნაწილი მოძიებულია სპორტში არსებული კვლევებიდან, ნაწილი კი მიღებულია უშუალოდ დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შედეგად.

ცხრილი 2: ანგარიშში გამოყენებული მონაცემები და წყაროები

მონაცემი	წყარო
არაგადამდები დაავადებების სტატისტიკა	სსიპ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
ჯანდაცვის ხარჯები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

³ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული ფედერაციების სია

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი;
არაგადამდები დაავადებების გარდაცვალების დონე და გარდაცვალების ალბათობა	სსიპ საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
მოსახლეობის რაოდენობა	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სპორტის სფეროში მომუშავე ბიზნესის ბრუნვა, სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმწიფო შემოსავლები	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სსიპ შემოსავლების სამსახური
საზოგადოებრივი აზრის კვლევები	საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში. Georgian Social and Marketing Research. 2013. საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა, ARC. 2017
განათლების სტატისტიკა	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
სპორტის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; აფხაზეთის ა/რ მთავრობა; აჭარის ა/რ მთავრობა; თბილისის მუნიციპალიტეტი; ქუთაისის მუნიციპალიტეტი; ბოლნისის მუნიციპალიტეტი

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების მიმოხილვისთვის იხ. ცხრილი 3, შეხვედრების დეტალური მიმოხილვისთვის იხ. დანართი.

ცხრილი 3: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შეჯამება

დაინტერესებული მხარე	მოკლე მიმოხილვა
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლების მოსაზრებით, მასობრივი სპორტის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორებია: საკანონმდებლო ბაზის არქონა, ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და არსებულის ხელმისაწვდომობის პრობლემა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში. მიაჩნიათ, რომ მოქმედი კანონი შესაცვლელია. იგი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მასობრივი სპორტის განვითარებას. სამინისტროს მიზანია, მასობრივ სპორტში ჩაერთოს მოსახლეობის 70%, რაც უნდა მოხდეს ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე იგეგმება მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღრიცხვა და სივრცითი დაგეგმარების სისტემის შექმნა. ძველი ობიექტების რეაბილიტაციისა და ახალი სასპორტო ობიექტების მშენებლობის შემდგომ სამინისტრო გეგმავს ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლას, რაც სპორტულ ინფრასტრუქტურას მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომს გახდის. სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ რეფორმის შედეგად დადგებიან როგორც სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობის/დაბალი ხელმისაწვდომობის, ასევე, აღმზრდელი პედაგოგების და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების არასათანადო კვალიფიკაციის პრობლემის წინაშე. აღმზრდელ პედაგოგებს არ გააჩნიათ კანონპროექტით მოთხოვნილი შესაბამისი ფიზიკური აღზრდის განათლება, რაც მათივე განმარტებით, ნიშნავს იმას, რომ პირველივე დღიდან მოუწევთ კანონის დარღვევა.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის	სამინისტრო მიიჩნევს, რომ არსებული კანონმდებლობა ხელს არ უწყობს საზოგადოების ფიზიკურ აქტიულობაში ჩართულობის ზრდას. კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელია ფიზიკური აქტიულობის და არამხოლოდ მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაციის მიმართულებით. აუცილებელია, სკოლებში სრულფასოვნად და ხარისხიანად ჩატარდეს ფიზიკური აქტიუობის გაკვეთილები; ასევე ფიზიკური აქტიუობა უნდა იყოს როგორც ფინანსურად, ასევე გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი. კანონის აღსრულების მექანიზმსაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ესაჭიროება.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ეროვნული ცენტრი (NCDC)	
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	თბილისის მერიის მოსაზრებით, აღნიშნული საკანონმდებლო ჩარჩო გაამყარებს სპორტული ფედერაციების როლს მოსახლეობის მასობრივ სპორტში ჩართულობის მხრივ და მკაფიოდ განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ნაწილობრივ მხარს უჭერს კანონპროექტის ცვლილებებს და მიაჩნია, რომ თუ ცვლილებები სხვა საკანონმდებლო აქტებშიც შევა რეფორმა ნაკლებად რისკიანი იქნება.
ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	სააგენტოს წარმომადგენელთა თქმით, კანონპროექტში სკოლამდელი დაწესებულებებისთვის განსაზღვრულია ფიზიკური აქტივობა კვირაში არანაკლებ 3 საათისა, თუმცა რეალურად ფიზიკური აქტივობა აღსაზრდელებისთვის 3 საათზე გაცილებით მეტი გამოდის. ფიზიკური აქტივობები ინტეგრირებულია სწავლების ყველა კომპონენტში და სამწუხაროდ, შეუძლებელია გაზომვა, კვირაში ზუსტად რამდენი დრო ეთმობა ფიზიკურ აღზრდას. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია ბავშვთან მთელი დღე იმუშაოს აღმზრდელმა და მასთან ფიზიკური აქტივობის ელემენტები არ გამოიყენოს.
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG)	ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე არ არსებობს სტრატეგიულად ჩამოყალიბებული სპორტის მწყობრი პოლიტიკა. მუნიციპალიტეტები სპორტულ ღონისძიებებს ძირითადად აფინანსებენ ერთჯერადი ანუ ოპერაციული, მიმდინარე ხარჯების მომსახურების ღონისძიებების სახით. შესაბამისად, დაფინანსების გამოყოფა ძირითადად დამოკიდებულია სხვადასხვა დაინტერესებული პირისა თუ ჯგუფის (მაგალითად: სპორტული ფედერაცია, სპორტსმენი და სხვა) მიერ მოთხოვნილ კონკრეტულ სასპორტო აქტივობებზე და არ არის მიზნული პროგრამულ მიმართულებას (მაგალითად, საზოგადოების მასიურად ფიზიკურ აქტივობაში და სპორტში ჩართვის მიზნებს), რომელიც განსაზღვრული იქნებოდა გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების (იგივე სამოქმედო გეგმების) მიხედვით.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი	აუცილებელია კანონმა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებისთვის გამოწვევის სახით დაუშვას არამხოლოდ უმაღლესი, არამედ პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომიც. ამ გზით კოლეჯსაც მიეცემა სკოლების კვალიფიციური კადრებით შევსების შესაძლებლობა, რადგან არსებული დეფიციტის შესავსებად მხოლოდ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის რესურსები არასაკმარისია.
საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციები	სამინისტრო უნდა ჩაერთოს ფედერაციებსა და სპორტულ ცენტრებს შორის ურთიერთობაში და გააუმჯობესოს მათ შორის კოორდინაცია, ნაწილობრივი დაფინანსების ან გადასახადების შემცირების გზით. სპორტულ დაწესებულებებს უნდა შეუმცირდეს კომუნალური გადასახადი სხვა დაწესებულებებთან შედარებით. კანონმდებლობამ უნდა განასხვავოს სპორტის სპეციალისტები მათი კვალიფიკაციის მიხედვით. ასევე საჭიროა მედიის მხრიდან სპორტის ტელევიზიით გაშუქების საკითხის რეგულირება. კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს ბიზნესსა და სპორტულ დაწესებულებებს შორის ურთიერთობები, რომლის მიხედვითაც სამინისტრო დაავალდებულებს ბიზნესს გარკვეული წვლილი შეიტანოს სპორტში. კონკრეტული ფედერაციის პროგრამებსა და სამინისტროს მხრიდან მიღებული დაფინანსებას შორის შეუსაბამობაა - სამინისტრო დეტალურად არ განიხილავს კონკრეტულ პროგრამას და დაფინანსებას ზედაპირულ საკითხებზე დაყრდნობით გასცემს.
მასობრივი სპორტული ფედერაციები	სახელმწიფოში არ არსებობს სტაბილური, გრძელვადიანი, კანონზე დამყარებული განვითარების გეგმა, რომლითაც იმოქმედებდა ყველა სპორტული ფედერაცია. ამის მიზეზად მენეჯმენტის ხშირი ცვლა და სხვადასხვა ხელმძღვანელ გუნდებს შორის იდეოლოგიური განსხვავებულობა დასახელდა.
საჯარო და კერძო სკოლები (ადმინისტრაცია, ფიზიკური აღზრდის პედაგოგები, მშობლები)	ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის საათები ვერ გაიზრდება რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის გამო. ესენია: სასკოლო სასპორტო ინფრასტრუქტურაზე დაბალი ხელმისაწვდომობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სპორტის გაკვეთილების მეთოდოლოგიის არარსებობა, სამინისტროს მიერ დადგენილი საგაკვეთილო ბადე და სხვა. მათივე მოსაზრებით, სკოლაში სპორტის საათების გაზრდა გამოიწვევს საგაკვეთილო საათების მომატებას, რაც ახლანდელი რეგულაციით შეუძლებელია. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფომ ჯერ უნდა დაიწყოს სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და შემდეგ უნდა მოხდეს საათების გაზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის ეს პუნქტი ვერ შეუსრულდება და შედეგსაც ვერ გამოიღებს.


3. პრობლემის განსაზღვრა

3.1 პოლიტიკის კონტექსტი

არაგადამდები დაავადებები გლობალური ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით⁴, ყოველწლიურად 41 მილიონი ადამიანი (მათ შორის 30-დან 69 წლამდე ასაკის - 15 მლნ) იღუპება არაგადამდები დაავადებებით, რაც მსოფლიოში გარდაცვალების შემთხვევათა 71%-ს წარმოადგენს. აგდ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს თითოეულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს. ამ ჯგუფის დაავადებებით ავადობა და სიკვდილიანობა მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობასა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.

საქართველოში აგდ-ის შედეგად გარდაცვალების დონე⁵ (100,000 ადამიანზე) მნიშვნელოვნად აღემატება ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. კერძოდ, საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და უკრაინაში; ასევე ბევრად მაღალია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან შედარებით - ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, სლოვაკეთი, ავსტრია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მაჩვენებელი ძალზედ განსხვავებულია მამაკაცებსა და (992 შემთხვევა) ქალებს (578 შემთხვევა) შორის.

გრაფიკი 1: არაგადამდები დაავადებებით გარდაცვალების დონე (100,000 ადამიანზე) - ასაკობრივად შეწონილი, 2016 წელი




წყარო: Global health observatory visualizations, Total NCD Mortality Data by country, WHO, 2016.

⁴ <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/noncommunicable-diseases>

⁵ Global health observatory visualizations, Total NCD Mortality Data by country, WHO, 2016.

არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული გარდაცვალების ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალია არაგადამდები დაავადებით გარდაცვალების ალბათობა, რომელიც 2016 წლის მონაცემებით 25%-ს უტოლდება.

გრაფიკი 2: 30-დან 70 წლამდე ასაკში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, კიბოთი, დიაბეტითა და ქრონიკული რესპირატორული დაავადებებით გარდაცვალების ალბათობა (%), 2016 წლის მონაცემები



წყარო: Global Health Observatory data repository, Risk of Premature death from the four target NCDs, Data by country, 2016. WHO.

ჯანმო აღიარებს⁶, რომ რეგულარული ფიზიკური აქტივობა, რომელიც აერთიანებს სპორტულ ვარჯიშსაც, წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას აგდ-სთან დაკავშირებული ისეთი რისკ-ფაქტორების შემცირებისთვის როგორებიც არის: ჰიპერტენზია, ჰარბზონიანობა და სიმსუქნე, მენტალური ჯანმრთელობა და სხვა. ასევე, ის აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს და კეთილდღეობას⁷. აღნიშნულის საფუძველზე, ჯანმომ 2010 წელს მიიღო დოკუმენტი „ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის შესახებ გლობალური რეკომენდაციები“⁸ (ცხრილი 4). დოკუმენტით განისაზღვრა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის ფორმები (ტიპი), ხანგრძლივობა, სიხშირე, ინტენსივობა და საერთო მოცულობა მოსახლეობის ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (5-17; 18-64; 65+). ნიშანდობლივია, რომ 0-დან 5 წლამდე

⁶ Physical activity for health, Report by the General Director, A71/18, 22 March 2018. 75 World Health Assembly, WHO. http://apps.who.int/gb/ebwha/pdf_files/WHA71/A71_18-en.pdf

⁷ Das P and Horton R. Rethinking our approach to physical activity. Lancet. 2012;380(9838)

⁸ WHO. Global recommendations on physical activity for health. Geneva: World Health Organization; 2010.

ბავშვთა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის მოცულობასა და ფორმებთან დაკავშირებით არასაკმარისი მეცნიერული მტკიცებულებების გამო, ეს ასაკობრივი ჯგუფი კონკრეტული რეკომენდაციებით არ იფარება. თუმცა, დოკუმენტში აღნიშნულია რომ ამ ასაკის ბავშვებისთვის ფიზიკური აქტივობა არის სასარგებლო. აღნიშნული უფრო დეტალურად არის განხილული ჯანმო-ს მიერ 2019 წელს შემუშავებულ დოკუმენტში „5 წლამდე ბავშვთა ფიზიკური აქტივობის, ჯდომის ქცევებისა და ძილის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები“⁹.

ცხრილი4: ასაკობრივი კატეგორიები და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რეკომენდირებული ფიზიკური აქტივობის მოცულობა, ჯანმოს რეკომენდაციების შესაბამისად

ასაკობრივი ჯგუფი	რეკომენდირებული ფიზიკური აქტივობა
5-დან 17 წლამდე	მინიმუმ 60 წუთი საშუალო და მაღალი ინტენსიურობის ფიზიკური აქტივობა დღის განმავლობაში. რეკომენდირებულზე უფრო მეტი ხანგრძლივობის ფიზიკური აქტივობა იწვევს ჯანმრთელობისთვის დამატებით სასარგებლო ეფექტს.
18-დან 64 წლამდე	მინიმუმ 150 წუთი საშუალო ინტენსიურობის ან 75 წუთი მაღალი ინტენსიურობის ფიზიკური აქტივობა კვირის განმავლობაში. ჯანმრთელობისთვის უფრო მეტი სარგებლობისთვის, ამ ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებმა, უნდა გაზარდონ საშუალო ინტენსიურობის 300-მდე ან მაღალი ინტენსიურობის ფიზიკური აქტივობა 150 წუთამდე კვირის განმავლობაში.
65+	მინიმუმ 150 წუთი საშუალო ინტენსიურობის ან 75 წუთი მაღალი ინტენსიურობის ფიზიკური აქტივობა კვირის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს რეკომენდირებული ნორმის შესრულებას, ის უნდა იყოს ფიზიკურად იმდენად აქტიური რამდენადაც მას შეუძლია.

წყარო: WHO. Global recommendations on physical activity for health. Geneva: World Health Organization; 2010

ერთი მხრივ, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული მონაცემებით¹⁰ (დაავადებათა კონტროლის ცენტრი), 2016

⁹ “Guidelines on physical activity, sedentary behaviour and sleep for children under 5 years of age”, World Health Organisation, 2019. <http://bit.ly/2VBsIgb>

¹⁰ არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების STEPS პოპულაციური კვლევა, 2016.

წელს 18-დან 69 წლის ჩათვლით მოზრდილ მოსახლეობაში, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის¹¹ საშუალო მონაცემი ორივე სქესისთვის - 17,4%-ს შეადგენდა (კაცები - 16,2%; ქალები - 18,4%). სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში მოსახლეობის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა საშუალო მაჩვენებელზე (ორივე სქესი: 15.6-19.2%; კაცები: 13.6-18.9%; ქალები: 16.3-20.4%) ოდნავ მაღალია. თუმცა, მეორე მხრივ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი - **82.4%, არ არის ინტენსიურად დატვირთული ფიზიკური აქტივობით** (კაცები - 72.2%, ქალები - 91.8%). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ისინი არ არიან დაკავებულნი სპორტული ვარჯიშით. აღნიშნული გარემოება შესაძლოა ექვექვემ აყენებდეს ჯანმოს მიერ ფიზიკური აქტივობის რეკომენდირებული დონის ისე შესრულებას, რაც სარგებელს მოუტანდა ადამიანთა ჯანმრთელობას.

არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის მაჩვენებელი მსგავსია საქართველოს მეზობელ და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. ნიშანდობლივია, რომ ეს ქვეყნებიც საქართველოს მსგავსად ხასიათდებიან არაგადამდები დაავადებებით გარდაცვალების მაღალი ალბათობითა და დონით.

ცხრილი 5: საქართველოს მეზობელ და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მოსახლეობის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის მონაცემები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით

ქვეყანა	არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა (საშუალო ინტენსივობა, ორივე სქესი), %	არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა (მაღალინტენსიური ფიზიკური აქტივობა, ორივე სქესი), %
სომხეთი	21.3	77.9
ბელარუსი	13.2	80.5
მოლდოვა	10.1	75.7
თურქეთი	43.6	81.3

წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია - კვლევა STEPS.

¹¹ კვირის განმავლობაში <150 წუთი საშუალო ინტენსივობის აქტივობა

„ფიზიკური ალზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

3.2 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც ეროვნულ დონეზე განსაზღვრავენ მასობრივი სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების ასპექტებს.

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი: „სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე“¹².

ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“¹³ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას, განახორციელოს მასობრივი სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები, ასევე უზრუნველყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირება და ახალი ობიექტების მშენებლობა. აღნიშნული ნორმა არ წარმოქმნის მუნიციპალიტეტებისთვის ვალდებულებას და წარმოადგენს მათ დისკრეციულ უფლებას განახორციელონ ან არ განახორციელონ მასობრივი სპორტის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ კანონი „სპორტის შესახებ“ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებას, შექმნან სკოლისგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები. ცალსახაა, რომ ზემოხსენებული კანონების მოქმედი ნორმები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. თუმცა, სამართლებრივად უპირატესობა ორგანული კანონს ენიჭება.

სპორტის სფეროში მოქმედებს 1996 წელს მიღებული „სპორტის შესახებ“¹⁴ საქართველოს კანონი. კანონის მე-4 თავი მთლიანად ეთმობა მასობრივ სპორტს და ადგენს სკოლამდელი, სასკოლო, სკოლისგარეშე და სასპორტო დაწესებულებებში ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ჩარჩოს. აღსანიშნავია, რომ მოქმედ კანონში რიგი ნორმები არ სრულდება. მაგალითად, კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს სკოლების საგაკვეთილო ბაღეში სპორტისთვის კვირაში მინიმუმ 4 საათიან დატვირთვას, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმა მეხუთე კლასამდე კვირაში 3-ს აწესებს, ხოლო მეხუთედან მეთორმეტე კლასამდე კვირაში 2 საათს. შესაბამისად სპორტის კანონის აღნიშნული ნორმა პრაქტიკაში არ სრულდება.

გარდა ამისა, ფიზიკური აღზრდისა და მასობრივ სპორტთან დაკავშირებული ასპექტები რეგულირდება ადრეული და სკოლამდელი, ასევე ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ შესაბამისი კანონებით.

¹² საქართველოს კონსტიტუცია

¹³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

¹⁴ კანონი „სპორტის შესახებ“

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი¹⁵, განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ვალდებულებას, ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესში ბავშვის სპორტულ აქტივობას, ბავშვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით.

„ზოგადი განათლების შესახებ“¹⁶ კანონი არეგულირებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ეროვნულ სასწავლო გეგმაში სპორტის, როგორც საგნობრივი კატეგორიის არსებობას. „უმაღლესი განათლების შესახებ“¹⁷ კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს სპორტის განვითარებას.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება¹⁸ ითვალისწინებს მხარეებს შორის „სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში თანამშრომლობას“ (მუხლი 368), რომელიც ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გზით უნდა განხორციელდეს. ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას ასევე ითვალისწინებს შეთანხმების მე-15 თავის – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ – 356-ე მუხლი, რომლის თანახმად, მხარეებს შორის თანამშრომლობა მოიცავს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციასა და კონტროლს, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობას.

ინსტიტუციური მოწყობა

საქართველოში სპორტის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი და აღმასრულებელი ინსტიტუტებია:

- **საქართველოს პარლამენტი** – რომელიც განსაზღვრავს სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და პრიორიტეტებს;
- **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** – რომელსაც გააჩნია სპორტის სფეროს მმართველობითი ფუნქცია. იგი მისაღმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და აღიარებული სპორტული ორგანიზაციების მეშვეობით უზრუნველყოფს სპორტის განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ სამინისტროსთან თანამშრომლობს მასობრივი სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელი შემდეგი პროფილური ორგანიზაციები: ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“, „საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია“ და „ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ფედერაცია“. აღნიშნული ფედერაციები სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფენ მასობრივ სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას.

¹⁵ კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“.

¹⁶ კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

¹⁷ კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

¹⁸ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება

სამინისტროსთან შექმნილია და მოქმედებს სათათბირო ორგანო – „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭო“, რომლის ძირითადი საქმიანობაა სპორტული ფედერაციების განხორციელებული საქმიანობის შეფასება და დაგეგმილი საქმიანობის გაცნობა.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო – პასუხისმგებელია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის გაზრდასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაციაზე.
- საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – სპორტზე პასუხისმგებელ აღმასრულებელ (სამინისტრო, მუნიციპალიტეტები) ხელისუფლებასთან კოორდინაციით უზრუნველყოფს სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და მშენებლობას;
- აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მერია) – თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში უზრუნველყოფენ სპორტის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელებას. როგორც წესი, აღნიშნული ითვალისწინებს პროფესიონალი სპორტსმენებისა და მწვრთნელების მხარდაჭერას, სპორტში ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობას, მერიის დაქვემდებარებაში არსებული სპორტული კლუბებისა და სექციების საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას, მუნიციპალური სპორტული ობიექტების რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის, სუბიექტებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და კოორდინირებული მოქმედებების უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობის დადგენილებით შეიქმნა „საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო“¹⁹. საბჭოს წარდგენით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 2014-2020 წლებისთვის“²⁰.

სპორტის სფეროში სპეციალისტების მომზადებასა და გადამზადებას უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მქონე სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“²¹, და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მქონე სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი“²²

¹⁹ საქართველოს მთავრობის დადგენილება № 127 „საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 22 მაისი, ქ. თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1927549?publication=0>

²⁰ საქართველოს მთავრობის განკარგულება N 601 „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314945?publication=0>

²¹ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048017?publication=0>

²² საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წესდება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2344753?publication=0>

3.3 მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდის და სპორტში ჩართულობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები

ერთი მხრივ, 2012-2018 წლების სამთავრობო პროგრამების მიმოხილვამ აჩვენა, რომ სპორტის სფეროში მაღალი მიღწევების და მასობრივ სპორტის განვითარება, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ დეკლარირებულ ამოცანას. მეორე მხრივ, ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი პროგრამების და ბიუჯეტების ანალიზმა აჩვენა, რომ უწყებათა ძალისხმევა და რესურსი უმთავრესად მიმართულია მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობაზე (დანართი 1).

მასობრივი სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამები, ძირითადად, მოკლებულია თანმიმდევრობას და სისტემურობას. დამკვიდრებული პრაქტიკით, ამ პროგრამების ფარგლებში გატარებული ზომები არის ერთჯერადი სპორტული ღონისძიებები, რომელთა შედეგების შეფასების მთავარ ინდიკატორად განსაზღვრულია მონაწილეთა რაოდენობა. სპორტზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულებების პროგრამებში არ გამოიყენება სპორტის, როგორც არაგადამდები დაავადებების პრევენციის და ჯანმრთელობის განმტკიცების საშუალება.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ²³ „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“. ამ დოკუმენტით საქართველოში მოსახლეობის დაბალი ფიზიკური აქტივობა მიჩნეულია ერთ-ერთ გამოწვევად და პრობლემად. სხვა ამოცანებთან ერთად, დოკუმენტის სამიზნედ განსაზღვრულია 2020 წლამდე დაბალი ფიზიკური აქტივობის 5%-ით შემცირება (ყოველწლიურად 1%-ით). ამ ამოცანის შესასრულებლად, სამოქმედო გეგმაში ²⁴, გათვალისწინებულია სხვადასხვა საჯარო უწყების, მათ შორის სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროს, შესაბამისი ინტერვენციები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის პროგრამებში მკაფიოდ არ ფიქსირდება რაიმე კავშირი ან მითითება ხსენებულ სტრატეგიაზე. ნიშანდობლივია, რომ სპორტის მეშვეობით არაგადამდები დაავადებების პრევენციის საკითხი არ ფიგურირებს ჩვენ მიერ გაანალიზებულ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ასევე თბილისის, ქუთაისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სპორტის პროგრამებსა და შესაბამის ხარჯებში (დანართი 1).

²³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N2, 2017 წლის 11 იანვარი, ქ. თბილისი.

²⁴ „საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ განხორციელების სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის.

ჯანმრთელობის ხელშეწყობი პროგრამის ფარგლებში „საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობ ღონისძიებებს. ამ ღონისძიებების ძირითად მიზანს რეგულარული ფიზიკური აქტივობის თაობაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. NCDC-ის ინფორმაციით, ამ ღონისძიებების დაფინანსება 2015 წლიდან თითქმის ხუთჯერ გაიზარდა და 2019 წელს - 100 000 ლარი შეადგინა.

„საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიით“ განისაზღვრა შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსებისთვის საჭირო თანხა - 774 მლნ ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება პრიორიტეტული მიმართულებების 66%-ის დაფინანსება (დაახლოებით 511 მლნ. ლარი), ხოლო დონორი ორგანიზაციების მიერ დაიფარება საჭიროებათა მხოლოდ 4-5%. სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსების დეფიციტი (2017-2020 წლებისთვის) არის თითქმის 30%, რაც ჯამში დაახლოებით 233 მლნ. ლარს წარმოადგენს.

გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს პროგრამას - „მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია“, რომელიც ითვალისწინებს: სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქვეყნის ნაკრები გუნდების მომზადებას და შეჯიბრებებში მონაწილეობას, ეროვნული ჩემპიონატების ორგანიზებას, სპორტსმენთა სოციალურ დახმარებას, ასევე მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვას და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ხსენებულ პროგრამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ფედერაციები²⁵ (82 ორგანიზაცია), რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფენ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებას.

3.4 არაგადამდები დაავადებები, ფიზიკური აქტივობა და მასობრივი სპორტი

ჯანმოს მიერ 2010 წელს შემოღებული ფიზიკური აქტივობის თაობაზე რეკომენდაციების შესრულება კვლავაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას მრავალი სახელმწიფოსთვის. კვლევებით მტკიცდება, რომ ფიზიკური პასიურობა მნიშვნელოვნად ზრდის ჯანდაცვაზე გამოყოფილ სახელმწიფო და კერძო ხარჯებს. 2016 წელს გამოქვეყნებული კვლევა²⁶ ითვლის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის მიერ წარმოქმნილ ხარჯებს 142 ქვეყანაში. კვლევა ეყრდნობა 2013 წლის მონაცემებს და ითვლის არასაკმარისი ფიზიკური აქტივობით გამოწვეულ პირდაპირ ჯანდაცვის ხარჯებს და არაპირდაპირ პროდუქტიულობის შემცირების ხარჯებს საერთაშორისო დოლარში²⁷. კვლევის თანახმად, ჯანმოს რეკომენდაციებით განსაზღვრული არასაკმარისი

²⁵ აღიარებული სპორტული ფედერაციების ჩამონათვალი

²⁶ D Ding etc al. 2016 – The Economic Burden of physical inactivity: a global analysis of major non-communicable diseases

²⁷ მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტით კორექტირებული

ფიზიკური აქტივობა (17.4%) საქართველოს ყოველწლიურად საშუალოდ 20.25 მლნ საერთაშორისო დოლარი²⁸ უჯდება (ცდომილება 7.306-45.417 მლნ დოლარი). აქედან, ჯანდაცვის პირდაპირი დანახარჯი 14.9 მლნ. საერთაშორისო დოლარი (ცდომილება 5.328-34.810), ხოლო პროდუქტიულობის დანაკარგი 5.350 მლნ. საერთაშორისო დოლარია (ცდომილება 1.978-10.607 მლნ. დოლარი).

არაგადამდები დაავადებების და მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვან გზას რეგულარული ფიზიკური აქტივობა წამოადგენს. თუმცა, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსხვავებულია ფიზიკურ აქტივობასა და მათ შორის სპორტში ჩართვის გზები. განათლების სისტემისა და სპორტში არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ფიზიკურ აქტივობაში (მასობრივ სპორტში) ჩართულობის (და ჩაურთველობის) ჯანმოს ასაკობრივი გრადაციის გამოყენება: 5-17; 18-64; 65+. თუმცა, საქართველოში შესაბამის მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის ან მონაცემების არ არსებობის გამო, რიგ შემთხვევაში, ანგარიშში ასახული ინფორმაცია ზუსტად არ ემთხვევა ჯანმოს მიდგომებს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია დავახასიათოთ თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში შემავალი ადამიანების რაოდენობა და მათი გადანაწილება სქესის მიხედვით (ცხრილი 6).

ცხრილი 6: მოსახლეობის რიცხოვნება სქესისა და ასაკის მიხედვით საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ასაკობრივი კატეგორია	სქესი	რაოდენობა	რაოდენობა (ორივე სქესი)
5 - 19	მამაკაცი	355 800	675, 300
	ქალი	319 500	
20 - 64	მამაკაცი	1 086 000	2 229 900
	ქალი	1 143 900	
65+	მამაკაცი	205 900	546 200
	ქალი	340 300	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

²⁸ საერთაშორისო დოლარი - კორექტირებული მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტით.

„ფიზიკური აქტივობისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

მასობრივ სპორტში ჩართულობის პრობლემები 5-დან 17 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში

5-დან 17 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჯანმოს რეკომენდირებული ფიზიკური აქტივობის შესრულების თაობაზე მონაცემების არ არსებობის გამო ვიყენებთ მათი შეფასების არაპირდაპირ მეთოდს. ამ ასაკობრივ ჯგუფში, პირთა ფიზიკური აქტივობისა და სპორტული ვარჯიშისთვის ძირითად გარემოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და სკოლის გარეთ არსებული სპორტული სექციები წარმოადგენს.

ქართული სპორტის სტატისტიკის ეროვნული პორტალის²⁹ მონაცემებით, 6-დან 18 წლამდე ასაკის 103,249 პირია რეგისტრირებული სპორტულ კლუბში. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მასშტაბით სკოლის მოსწავლეთა მხოლოდ 20% არის რეგისტრირებული სპორტულ კლუბში (სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ფედერაციის წევრები) და ჩართულია ორგანიზებულ სპორტულ აქტივობაში. ჯანმოს ინფორმაციით, სკოლის მოსწავლეებში არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ამცირებს კონცენტრაციისა და პროდუქტიულობის უნარს, ასევე უარყოფითად აისახება თანატოლებთან მოსწავლეთა სოციალურ ჩართულობაზე³⁰.

სკოლებში ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილის ჩატარებასთან დაკავშირებული გამოწვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წელს ჩატარებულ კვლევის³¹ „მასობრივი სპორტის განვითარება“ შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის სრულფასოვან ჩატარებას და მოსწავლეთა ჩართულობას აფერხებს შემდეგი გარემოებები: სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურა, სკოლებში სპორტის საათების შემცირებული რაოდენობა და სპორტის მასწავლებლების არასათანადო კვალიფიკაცია.

²⁹ www.sportstats.gov.ge

³⁰ Fact Sheet, Physical Activity. World Health Organization Regional Office for Europe

³¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N13/36 „მასობრივი სპორტის განვითარება“, 2017 წლის 21 მარტი

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 წლებისთვის, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავს (დამტკიცებულია) მხოლოდ დაწყებით საფეხურს, შემდეგნაირად განსაზღვრავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აუცილებელ კვირეულ დატვირთვას:

- I-IV კლასებში - კვირაში 3 საათი (სასწავლო წლის განმავლობაში 96 საათი);
- V-VI კლასებში - კვირაში 2 საათი (სასწავლო წლის განმავლობაში 64 საათი);
- საბაზისო კლასებისთვის (VI-IX) – ეროვნული სასწავლო გეგმა (დაინერგება 2019-2020 სასწავლო წელს) განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეულ დატვირთვას - 2 საათს (სასწავლო წლის განმავლობაში 64 საათი);
- საშუალო კლასებისთვის (X-XI) – 1.5 საათს ((1-ელ სემესტრში - 2 საათი, მე-2 სემესტრში - 1 საათი), სასწავლო წლის განმავლობაში 48 საათი).

აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგაკვეთილების საათობრივი დატვირთვა ეწინააღმდეგება დღეს მოქმედ „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც ითვალისწინებს ³² ფიზიკური აღზრდის მეცადინეობების ხანგრძლივობას - კვირაში არანაკლებ 4 საათისა. საჯარო და კერძო სკოლების პერსონალთა გამოკითხვით გამოვლინდა, რომ კანონის დარღვევის მთავარ მიზეზებს - სპეციალიზებულ პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა/არ არსებობა წარმოადგენს.

მოქმედი რეგულაციებით, სკოლების ადმინისტრაციას შესაძლებლობა აქვთ, ჯამური საათებიდან 25% გადაანაწილონ სხვა საგნებს შორის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევით³³ დადგინდა, რომ საჯარო სკოლების 31% იყენებს ამ შესაძლებლობას და სპორტისთვის განკუთვნილ ერთ საათს უთმობს სხვა საგანს. აუდიტმა გამოიკვლია, რომ ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეთა 9%-ს (44,529 მოსწავლე) სპორტის საგაკვეთილი მხოლოდ კვირაში ერთხელ უტარდება.

ნიშნდობლივია, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის შესრულების მიზნით, სკოლები ხშირად მიმართავენ პრაქტიკას, რომლის ფარგლებშიც, სპორტის პედაგოგი საგაკვეთილს რამდენიმე კლასს ერთდროულად უტარებს. შედეგად, მცირე ზომის დარბაზში, 50-მდე მოსწავლეს ერთად უწევს ყოფნა. აღნიშნული ხელს უშლის სპორტის საგაკვეთილის სრულფასოვნად ჩატარებას, რაც უარყოფითად აისახება საგაკვეთილო პროცესში გოგონათა ჩართულობაზეც.

³² „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი, თავი 4, მუხლი 12.

³³ <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2017/maobrivi-sportis-ganvitareba.pdf>

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული³⁴ მონაცემებით, 2018 წლის მდგომარეობით ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს 2,308 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ირიცხება 575,140 მოსწავლე. აღნიშნულ მოსწავლეთა 37% დაწყებით საფეხურზეა (I-IV კლასი), ხოლო 63% უფროს და საშუალო (V-XII) კლასებში. საქართველოს მასშტაბით სპორტის გაკვეთილებს 11,169 მასწავლებელი ატარებს (10,494 საჯარო, ხოლო 675 კერძო სკოლებში). აღნიშნული მასწავლებლებიდან 8,946 (530 კერძო და 8,416 საჯარო სკოლაში) დაწყებით კლასების მასწავლებელია, ხოლო 2,484 მასწავლებელი (287 კერძო და 2,198 საჯარო სკოლაში) – სპორტის სპეციალისტი³⁵. V-XII კლასების მოსწავლეებიდან კერძო სკოლებში ერთ სპორტის სპეციალისტს საშუალოდ 120 მოსწავლისთვის უწევს გაკვეთილების ჩატარება, ხოლო საჯარო სკოლებში 149-ისთვის. კერძო სკოლებში სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებიდან მხოლოდ 2%-ს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო საჯარო სკოლებში ეს მაჩვენებელი 5%-ია.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში შესაბამისი კადრების დეფიციტს შესაძლოა რამდენიმე გამომწვევი მიზეზი ჰქონდეს, მათ შორის: პედაგოგის პროფესიისადმი საზოგადოების დაბალი ინტერესი, მასწავლებელთა სქემაში ჩართულობის სირთულე (მსურველს შეიძლება ჰქონდეს სასპორტო განათლება, თუმცა არ გააჩნდეს პედაგოგის სტატუსი, რაც ავტომატურად ქმნის შეზღუდვას), პროფესიული გადამზადების კურსების და მიზნობრივი ტრენინგების ნაკლებობა, მოქმედ პედაგოგთა მოტივაციის დაბალი დონე.

ამასთან, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის სრულყოფის მიზნით, განათლების სამინისტრომ, დაწყებითი კლასების პედაგოგთათვის შეიმუშავა კალენდარული გეგმა, რომლის გამოყენებით ხდება სასწავლო წლის შესაბამისი გაკვეთილების დაგეგმვა.

სასპორტო ინფრასტრუქტურა და სპორტული ინვენტარი

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშით³⁶ გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევაში საჯარო სკოლებში, ინფრასტრუქტურული და საკადრო (კვალიფიციური კადრები) პრობლემების გამო ვერ ხერხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის შესრულება. საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებით და სპორტის პედაგოგებით

³⁴ პასუხი მიხეილ ყაველაშვილის სადეპუტატო კითხვაზე, წერილი N 3961/4-15/19, 03-04-2019


³⁵ არსებობს ცდომილება სპორტის სპეციალისტი მასწავლებლების და დაწყებითი კლასების მასწავლებლების ჯამსა და სპორტის მასწავლებელთა საერთო რაოდენობას შორის. ეს გამოწვეულია 132 მასწავლებლით, რომელიც პარალელურად რამოდენიმე სკოლაში ასწავლის.

³⁶ <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2017/maobrivi-sportis-ganvitareba.pdf>

დაკომპლექტებულ ფოკუს ჯგუფების შეხვედრებზე³⁷ აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევაში, სპორტული ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, სკოლები სპორტის გაკვეთილის დროს ატარებენ მეცადინეობებს ჭადრაკში ან მოსწავლეებს უზიარებენ თეორიულ ცოდნას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლების უმრავლესობისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის (სპორტული დარბაზი, გარე მოედანი) გაუმართავი მდგომარეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3: საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა (2018-2019 სასწავლო წლის მონაცემები)



წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებული მონაცემების თანახმად, სკოლებში არსებული შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის დეფიციტის ან არ არსებობის გამო, ქვეყნის მასშტაბით, **387 საჯარო სკოლა** (საერთო რაოდენობის 17%), **სპორტის გაკვეთილს დერეფანში ან საკლასო ოთახში ატარებს**.

სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის მდგომარეობით, 205 კერძო და საჯარო სკოლას, რომელშიც ჯამში 18,809 მოსწავლე ირიცხება, არ გააჩნია **სპორტული დარბაზი/მოედანი**, რაც აფერხებს ამ სკოლებში სრულფასოვანი გაკვეთილის ჩატარებას. ნიშანდობლივია, რომ ამ სკოლების მიერ ხელმისაწვდომი ალტერნატიული ობიექტების არ გამოყენების საკითხი მოხვდა მასობრივი სპორტის განვითარების ეფექტიანობის აუდიტის

³⁷ 8 თებერვალი 2019. ქ. თბილისი. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონის პროექტზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში. ორგანიზატორები საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი.

ანგარიშში³⁸. კერძოდ, ანგარიში ადგენს, რომ სპორტული ინფრასტრუქტურით გაუმართავი საჯარო სკოლები „არ მიმართავენ ალტერნატიულ რესურსებს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სახით, რაც საშუალებას მისცემდა მოსწავლეების გარკვეულ რაოდენობას მიეღო აუცილებელი სათანადო ფიზიკური აქტივობა სპორტული გაკვეთილების სახით“. აუდიტის კვლევის ფარგლებში მონაწილე სკოლებიდან, ალტერნატიული სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა (ერთი სკოლა) დაფიქსირდა.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც აფერხებს მოსწავლეებს, განსაკუთრებით გოგონებს, მონაწილეობა მიიღონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილში არის გასახდელების არარსებობა. ინდივიდუალური გასახდელების არარსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც გოგონები სპორტის გაკვეთილზე დასწრებისაგან თავს იკავებენ³⁹. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის მდგომარეობით, ქვეყნის 823 სკოლის (კერძო და საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 35%) სპორტული მოედანი/დარბაზი აღჭურვილია ინდივიდუალური გასახდელით, ხოლო საერთო გასახდელი 165 სკოლას (კერძო და საჯარო საერთო რაოდენობის 7%) გააჩნია. ამ მონაცემების გამოყენებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის მასშტაბით 1,326 კერძო და საჯარო სკოლას საერთოდ არ გააჩნია გასახდელი (57%).

საჯარო და კერძო სკოლების პერსონალთან (დირექტორები, სპორტის მასწავლებლები) და მოსწავლეთა მშობლებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გაკეთებული შეფასებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხარისხიან საგაკვეთილო პროცესზე უარყოფით გავლენას ახდენს სამი ძირითადი გარემოება - პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა, პედაგოგთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (არარსებობა ან გაუმართაობა). ფოკუს ჯგუფების წარმომადგენელთა შეფასებით, ამ სამი ძირითადი გამოწვევის შედეგად, ვერ ხერხდება სკოლებში „სპორტის შესახებ“ მოქმედი კანონით გათვალისწინებული, 4 საათიანი საგაკვეთილო დატვირთვის შესრულება.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა

2015 წლიდან ააიპ „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო სკოლებში „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ პროექტის განხორციელება. 2018-2019


³⁸ მასობრივი სპორტის განვითარების ეფექტიანობის აუდიტი N13/36. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. 2017 წელი.

³⁹ „გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში“, 2015. საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

სასწავლო წლის განმავლობაში, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ პროექტში ჩართულია 1700 კერძო და საჯარო სკოლის დაახლოებით 100,000 მოსწავლე (ქვეყნის მასშტაბით მოსწავლეთა დაახლოებით 20%), რომელიც რამდენიმე სპორტის სახეობაში ერთმანეთს ეჯიბრება. სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა მხრიდან დიდი ინტერესის მიუხედავად, პროექტის ორგანიზატორი არასაკმარისი ფინანსური და სხვა რესურსების გამო ვერ ახერხებს სკოლების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ნიშანდობლივია, რომ სასკოლო ოლიმპიადის გეოგრაფიის გაფართოება დაკავშირებულია ისეთ გამოწვევებთან, როგორიცაა გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა, სპორტის პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა და მათი დაბალი მოტივაცია, მუნიციპალურ ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურის დაქირავების მაღალი საფასური, სკოლებში შესაბამისი სპორტული ინვენტარის ნაკლებობა და სხვა. 2014 წლიდან „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ სახელმწიფო დაფინანსება (სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროს ასიგნებებიდან გამოყოფილი დაფინანსება) დინამიკაში პროგრესულად იზრდებოდა (გრაფიკი 4).

გრაფიკი 4: სასკოლო სპორტული ოლიმპიადის სახელმწიფო დაფინანსება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან⁴⁰



წყარო: საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა ჩართულობის შემდგომი გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ (ცენტრალური და ადგილობრივი დონე) კლასგარეშე ინიციატივების მხარდაჭერისთვის უფრო მეტი რესურსის გამოყოფა და სისტემური მიდგომების უზრუნველყოფა. სახელმწიფო დაფინანსების არასტაბილური ზრდა (გრაფიკი 4) ნათლად მიუთითებს სისტემური მიდგომის ნაკლებობაზე. გარდა ამისა, სახელმწიფო არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, ასეთი ღონისძიებების ეფექტურობის გაზრდისთვის საჭიროა ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ნიშანდობლივია ისიც, რომ სასკოლო სპორტის განვითარებაში კერძო ბიზნესის ან სპონსორების ინტერესი არის მინიმალური.

⁴⁰ 2019 წლის მონაცემები ასიგნებების პროგნოზია

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

მასობრივ სპორტში ჩართულობის პრობლემები 18-დან 64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში

ქართული სპორტის სტატისტიკის ელექტრონულ პორტალზე (www.sportstats.gov.ge) გამოქვეყნებული მონაცემებით⁴¹ (2019 წ.), საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართულ პირთა საერთო რაოდენობა (ორივე სქესი, ასაკობრივი კატეგორია: ბავშვები, მოზარდები, ახალგაზრდები, ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების წევრები) 171,663 სპორტსმენს შეადგენს. პორტალის მონაცემებზე დაყრდნობით, სპორტში რეგულარულად ჩართულ 18 წელზე უფროსი პროფესიონალ და მოყვარული სპორტსმენთა რაოდენობა 52,986-ია.

ცხრილი 7: საქართველოს მოსახლეობის სპორტში რეგულარულად ჩართულ პირთა (18 წლიდან ზემოთ) პროცენტული წილი

ასაკობრივი ჯგუფი	საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ასაკობრივ ჯგუფში (საქსტატი, 2018)	სპორტში ჩართულ პირთა საერთო რაოდენობის (18-დან ზემოთ) პროცენტული წილი ასაკობრივ ჯგუფში პირთა საერთო რაოდენობაში
20-დან 29 წლამდე	498,000	10%
30-დან 44 წლამდე	766,800	6%


წყარო: sportstat.gov.ge

სპორტთან მიმართებაში მოსახლეობის დამოკიდებულებებისა და სპორტში მათი ჩართულობის გამოკლევის მიზნით, 2013 წელს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაკვეთით ჩატარდა „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან დაკავშირებით“⁴². კვლევის შედეგად გამოვლინდა გამოკითხულთა (ასაკობრივი კატეგორია: 18-დან ზემოთ) მკვეთრად დაბალი სპორტული აქტივობა. კერძოდ, გამოკითხულთა 66.3% ამბობს, რომ საერთოდ არ ვარჯიშობს. ეს მონაცემები მსგავსია 2016 წლის STEPS-ის შედეგებთან, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსახლეობის 82.4% ინტენსიურად არ არის დატვირთული ფიზიკურად.

⁴¹ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით, სპორტსმენთა დათვლის არსებული სისტემაში მონაცემების ცდომილების ალბათობა შესაძლოა 5-15% შეადგენდეს.

⁴² საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში. Georgian Social and Marketing Research. 2013.

გრაფიკი 5: როგორ შეაფასებდით თქვენს სპორტულ აქტივობას, რა სიხშირით ვარჯიშობთ (%)?




წყარო: „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან დაკავშირებით“ (2013)

გარდა ამისა, 2013 წელს ჩატარებულ კვლევაში, საყურადღებოა რესპოდენტთა ფიზიკური პასიურობა ასაკობრივ ჯგუფში, სადაც 18-34 წლის ასაკის გამოკითხულთა **53%**, 35-54 წლის ასაკის - **67,8%**, 55 წლის და მეტი ასაკის გამოკითხულთა **79,5%** „საერთოდ არ ვარჯიშობს“. აღნიშნული მიუთითებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად, მცირდება რესპოდენტთა ფიზიკური აქტივობის და სპორტში ჩართულობის სიხშირე.

მოსახლეობის ფიზიკური პასიურობა წარმოადგენს გამოწვევას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც. „ევრობარომეტრის“ 2017 წლის მონაცემებით⁴³, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (საშუალო მონაცემი ყველა ქვეყნისთვის) გამოკითხულთა 46% საერთოდ არ ვარჯიშობს. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, ფიზიკური პასიურობის ყველაზე მაღალი დონე ბულგარეთში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში ფიქსირდება, სადაც უარყოფითი მაჩვენებელი, საქართველოს მსგავსად, 68%-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ფიზიკურად ყველაზე აქტიური ქვეყნებია ფინეთი, შვედეთი, დანია, სლოვენია, ლუქსემბურგი, ბელგია, ჰოლანდია და ირლანდია. ამ ქვეყნებში ფიზიკურად არა აქტიურ რესპოდენტთა ოდენობა 13%-დან 31%-მდე მერყეობს.

⁴³ Special Eurobarometer 472, Report. Sport and physical activity. Fieldwork, December, 2017


გრაფიკი 6: საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამოკითხულთა % რაოდენობა, ვინც კითხვაზე „რამდენად ხშირად ვარჯიშობთ ან დაკავებული ხართ სპორტით?“ გასცა პასუხი „არასდროს“.



წყარო: Special Eurobarometer 472, Report. Sport and physical activity. Fieldwork, December, 2017; „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან დაკავშირებით“(2013).

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტები, რომლებიც არ არიან დაკავებული სპორტული აქტივობით, უმეტეს შემთხვევაში მიზეზად სპორტისადმი ინტერესის არ ქონას (38,8%) და თავისუფალი დროის ნაკლებობას (37,3%) ასახელებენ. საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ასახელებს ხელისშემშლელ პირობად სპორტული მომსახურებით სარგებლობის საფასურს (6,1%) და სპორტული ბაზების/აღჭურვილობის არარსებობას (3,7%) .

გრაფიკი 7: რატომ არ ხართ ჩართული რომელიმე სპორტულ აქტივობაში (ყველა ასაკი)?




წყარო: „საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან დაკავშირებით“ (2013)

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით თითქმის მსგავსია 2017 წელს ჩატარებული კვლევის⁴⁴ შედეგები, რომელიც ასახავს გამოკითხულთა სპორტული აქტივობისაგან თავშეკავების ძირითად მიზეზებს. კერძოდ, სპორტში ჩაურთველობის მიზეზად **რესპონდენტთა 40% დროის უქონლობას და 20,5% - სურვილის და ინტერესის არარსებობას ასახელებს**. აგრეთვე, 18,3% სპორტული აქტივობით არ დაკავების მიზეზად ასაკს ასახელებს.

გრაფიკი 8: თუ არ ხარ დაკავებული სპორტით, რა არის ამის მიზეზი?



წყარო: „საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა“, ARC. 2017

2017 წლის კვლევის შედეგები, შესაძლებლობას გვაძლევს შევავსოთ რესპონდენტთა სპორტული აქტივობის დინამიკა წინა წლებთან შედარებით. კვლევით გამოვლინდა, რომ **4 წლის განმავლობაში გამოკითხულთა ფიზიკური აქტივობის დინამიკა რესპონდენტების უმრავლესობაში (60%) იგივეა**. საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთა ფიზიკური აქტივობა დინამიკაში შემცირებულია, აღემატება იმ გამოკითხულთა რაოდენობას, ვინც აფასებს, რომ დინამიკაში მისი ფიზიკური აქტივობა გაზრდილია.

⁴⁴ „საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა“, გამოყენებითი კვლევების კომპანია - ARC. 2017

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ცხრილი 8: როგორ შეაფასებდით თქვენი სპორტული ფიზიკური აქტივობის დინამიკას უახლოესი 4 წლის განმავლობაში?

	18-25 წელი	26-35 წელი	36-45 წელი	46-55 წელი	56-65 წელი	65 და ზემოთ
მნიშვნელოვნად შემცირდა, ვიყავი და აღარ ვარ დაკავებული სპორტული ფიზიკური აქტივობით	8.8	10.4	11.9	12.2	13.5	30.3
მცირედით შემცირდა	15.3	20.7	15.2	13.3	14.3	21.2
იგივეა	48.4	53.6	67	68.9	68.4	42.4
უმნიშვნელოდ გაიზარდა	15	6.1	3.6	3.3	3.4	3
მნიშვნელოვნად გაიზარდა, არ ვიყავი ჩართული და ჩავერთე სპორტულ აქტივობაში	12.5	9.2	2.3	2.2	0.4	3

წყარო: „საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა“, ARC. 2017

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2013 და 2017 წელს ჩატარებულ კვლევებში მონაწილე რესპონდენტთა მცირე რაოდენობა რეგულარულად არის ჩართული სპორტში. ასევე, არსებული მონაცემებით, მოსახლეობის მცირე ნაწილი არის დაკავებული მაღალი ინტენსიური ფიზიკური აქტივობით.


2017 წლის კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ფიზიკური აქტივობით ყველაზე ხშირად არიან დაკავებული 18-25 და 26-35 ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები. დასახლებული პუნქტების მიხედვით, რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებთან შედარებით, თბილისში მცხოვრები რესპონდენტების ფიზიკური აქტივობის დონე მეტად მაღალია (გარდა საქმიანობისა საკუთარ მეურნეობაში და ფიზიკური დატვირთვისა სამსახურში). დედაქალაქის რესპონდენტები, ფიზიკური აქტივობის ფორმებიდან ყველაზე ხშირად ასახელებენ ლაშქრობებში სიარულს, სირბილს, სეირნობას, ვარჯიშს დარბაზში.

საქართველოში რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ფიზიკურ და სპორტულ აქტივობაში ჩართულობის ძირითად მოტივაციას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და გაჯანსაღება, ასევე გარეგნულ იერსახეზე ზრუნვა წარმოადგენს (გრაფიკი 9). საყურადღებოა, რომ ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (77%), ასევე თავისუფალი დროის არსებობა (38%) არის ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი, რომელიც ყველაზე ხშირად განაპირობებს გამოკითხულთა გადაწყვეტილებას დაკავდნენ სპორტით (გრაფიკი 10). აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

განმტკიცება და ფიზიკური მომზადების დონის გაუმჯობესება არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში⁴⁵ რესპონდენტთა 57% და 47% შესაბამისად ჩართულია სპორტში.


გრაფიკი 9: რა მიზნით ხართ ჩართული ფიზიკურ / სპორტულ აქტივობაში?



წყარო: „საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა“, ARC. 2017

⁴⁵ Special Eurobarometer 472, Report. Sport and physical activity. Fieldwork, December, 2017


გრაფიკი 10: რამ განაპირობა თქვენ მიერ სპორტში / ფიზიკურ აქტივობაში ჩართვა (ერთზე მეტი პასუხი)?



წყარო: „საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა“, ARC. 2017

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში სპორტში ჩართულ რესპონდენტთა უმრავლესობა (58%) ვარჯიშობს სახლსა და ღია სივრცეებში (პარკი, ბუნება), ასევე იყენებს საჯარო სივრცეში განთავსებულ უფასო სატრენაჟორო ბაზას. ფორმალურ/ორგანიზებულ გარემოში (ფიტნეს-კლუბი, სექცია, აუზი) ვარჯიშს გამოკითხულთა 20% ამჯობინებს (გრაფიკი 11).

გრაფიკი 11: როგორც წესი, სად ვარჯიშობთ? (2017)



წყარო: „საქართველოში სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და განვითარების მიმართულებების კვლევა“, ARC. 2017

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

მოცემული საზოგადოებრივი აზრის კვლევები ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა ფიზიკური აქტივობის და სპორტში ჩართულობის დონე არის დაბალი. დროის 4 წლიან პერიოდში (2013-2017) თითქმის უცვლელია დაბალი ფიზიკური აქტივობის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ 18-დან 34 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტთა 53% საერთოდ არ არის ჩართული სპორტში, გამოკითხულთა ფიზიკური პასიურობის მაჩვენებელი იზრდება გამოკითხულთა ასაკის მატებასთან ერთად.

კვლევის მონაცემების ანალიზმა გვაჩვენა, რომ გამოკითხულთა სპორტული ვარჯიშისაგან თავშეკავების მთავარი ბარიერია ინტერესთა არ ქონა და თავისუფალი დროის ნაკლებობა. სპორტული მომსახურების სარგებლობის მაღალი საფასური და სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობა წარმოადგეს გამოწვევას რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის - დაახლოებით 10%.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ სპორტში, ვარჯიშობენ სახლსა და ღია სივრცეებში (პარკი, ბუნება) ასევე იყენებენ ქუჩაში განთავსებულ ღია ტიპის ტრენაჟორებს. საქართველოში რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ფიზიკურ და სპორტულ აქტივობაში ჩართულობის ძირითადი მიზეზია ჯანმრთელობის განმტკიცება და გარეგნულ იერსახეზე ზრუნვა.

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მოსახლეობის ფიზიკური პასიურობა წარმოადგენს გამოწვევას. როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებულ გამოწვევებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც აწყდებიან.


3.5 საბაზისო სცენარი

საქართველოში დაავადებათა ტვირთის უდიდესი ნაწილი მოდის არაგადამდებ დაავადებებზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიცოცხლის ყველაზე პროდუქტიულ წლებზე⁴⁶. ჯანმოს 2014 წლის მონაცემებით ⁴⁷ , საქართველოში სიკვდილიანობის პროპორციული ოდენობის (საერთო სიკვდილიანობის %, ყველა ასაკი, ორივე სქესი) 94% გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით, მათ შორის 69% უკავშირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, 14% - კიბოს, 1% - დიაბეტს და 4% - ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებებს.

⁴⁶ ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკურ ცნობარი, საქართველო 2017. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

⁴⁷ World Health Organization – Noncommunicable Diseases (NCD) Country Profiles, 2014.

გრაფიკი 12: პროპორციული სიკვდილიანობა (საერთო სიკვდილიანობის %, ყველა ასაკი, ორივე სქესი)



წყარო: World Health Organization – Noncommunicable Diseases (NCD) Country Profiles, 2014

ძირითადი არაგადამდები დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ქრონიკული რესპირაციული დაავადებები და დიაბეტი) გამომწვევი მიზეზები ხასიათდება საერთო რისკ-ფაქტორებით: თამბაქოს და ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მოხმარება, არაჯანსაღი კვება, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა და სხვა. საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დაავადებათა კონტროლის ცენტრი) ინფორმაციით⁴⁸, 2016 წელს საქართველოში სიკვდილიანობის და უნარშეზღუდულობის გამომწვევი ძირითადი რისკ-ფაქტორებია (მნიშვნელობის მიხედვით): 1. მაღალი არტერიული წნევა; 2. კვება; 3. თამბაქოს მოხმარება; 4. ჭარბი წონა; 5. ჰაერის დაბინძურება; 6. ქოლესტერინის მაღალი დონე; 7. გლუკოზის მაღალი დონე; 8. ალკოჰოლი/ნარკოტიკების მოხმარება; 9. თირკმლის დაავადებები; 10. არასაკმარისი კვება.

საქართველოში 18 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობაში ჭარბწონიანობისა და სიმსუქნის პრობლემა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ცხრილი 9 აერთიანებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს და აჩვენებს, რომ სიმსუქნის მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღეს ეს პრობლემა მოსახლეობის დაახლოებით მესამედს აწუხებს. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ჭარბწონიანობის პრობლემასთან დაკავშირებითაც (ცხრილი 10). ჭაბწონიანობის პრობლემა 2016 წლის მონაცემებით მოსახლეობის 65%-ს აქვს. აღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვან ზეგავლენას

⁴⁸ ჯანმრთელობის დაცვა, მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა 2017.

„ფიზიკური ალზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ახდენს სხვადასხვა არაგადამდები დაავადების გავრცელებაზე და მეტწილად მომდინარეობს დაბალი ფიზიკური აქტივობიდან.

ცხრილი 9: საქართველოში სიმსუქნის პრევალენტობის % მაჩვენებელი, წლების მიხედვით ჯანმოს მონაცემებით

წლები	ასაკობრივი კატეგორია	სიმსუქნის პრევალენტობა (%)		
		მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი
2008	20+	16	27	22
2010	18+	15	22	19
2014	18+	18	24	22
2016 ⁴⁹	18-69	30	36	33

წყარო: Prevalence of obesity - intercountry comparable estimate by country, WHO, NCDC STEPS

ცხრილი 10: საქართველოში ჭარბწონიანობის პრევალენტობის % მაჩვენებელი, წლების მიხედვით ჯანმოს მონაცემებით

წლები	ასაკობრივი კატეგორია	ჭარბწონიანობის პრევალენტობა (%)		
		მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი
2008	20+	51	55	53
2010	18+	53	57	55
2014	18+	54	59	58
2016 ⁵⁰	18-69	66	64	65

წყარო: Prevalence of overweight - country specific estimate by country, WHO, NCDC STEPS


⁴⁹ არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების STEPS პოპულაციური კვლევა, 2016. NCDC.ge

⁵⁰ არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების STEPS პოპულაციური კვლევა, 2016. NCDC.ge

სახელმწიფო დანახარჯები სპორტის სექტორში

უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში სპორტზე გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯები მნიშვნელოვნად იზრდებოდა – წელიწადში საშუალოდ 13%-ით. 2019 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით აღნიშნული ხარჯები მცირედით შემცირდა და დაახლოებით 128 მლნ. ლარი შეადგინა. თუმცა, აღნიშნული ხარჯების უმეტესობა მიმართულია მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებაზე.


გრაფიკი 13: სახელმწიფო დანახარჯები სპორტის სექტორში, 2012-2019 წლები (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა მასობრივი სპორტისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსებაც - საშუალოდ 16%-ით წელიწადში. თუმცა, მასობრივ სპორტზე გამოყოფილი თანხები, საშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტში სპორტზე გამოყოფილი თანხების 5%-ია. 2019 წლისთვის მასობრივ სპორტზე გამოყოფილმა თანხებმა 7 მილიონ ლარს გადააჭარბეს. გარდა ამისა, მასობრივ სპორტზე გამოყოფილი თანხების მერყეობა მოწმობს, რომ ეს ხარჯები არ ხორციელდება სტრუქტურულზე უფრო ეროტიანი მიზნების მისაღწევად.

გრაფიკი 14: მასობრივ სპორტზე გამოყოფილი თანხები და მათი წილი სპორტზე გამოყოფილ სახელმწიფო დაფინანსებაში (მლნ ლარი).




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მასობრივი სპორტის განვითარებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს აფინანსებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც. თუმცა, აღნიშნული თანხების ზუსტი აღრიცხვა ყველა მუნიციპალიტეტის მიხედვით ხანგრძლივ კვლევას საჭიროებს. ამის გამო ანალიზი გაკეთდა ქვეყნის მასშტაბით შერჩეული მუნიციპალიტეტების ხარჯებზე დაყრდნობით, რომლებიც წარმოდგენილია დანართ 1-ში. მოცემული ანალიზი გვაჩვენებს, რომ მასობრივი სპორტის დაფინანსების ტენდენცია მსგავსია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებში.

ჯანდაცვის სექტორი

ჯანდაცვის ხარჯები საქართველოში უკანასკნელი 5 წლის მანძილზე წელიწადში საშუალოდ 5.7%-ით იზრდებოდა, რაც საკმაოდ მაღალი ზრდის ტემპია. ნიშანდობლივია ის, რომ ამავე პერიოდში ჯანდაცვის კერძო დანახარჯები მხოლოდ 0.6%-ით იზრდებოდა, ხოლო სახელმწიფო დანახარჯები წელიწადში საშუალოდ 19.4%-ით. საინტერესოა ისიც, რომ ჯანდაცვის კერძო დანახარჯებში მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები საშუალოდ 15%-ით იზრდებოდა, მაშინ როდესაც კერძო დაზღვევის დანახარჯები 0.4%-ით მცირდებოდა. გრაფიკი 15 აღწერს ჯანდაცვის ხარჯების ამ დინამიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წელს არაგადამდები დაავადებების მკურნალობაზე დაახლოებით 590 მლნ. ლარი დაიხარჯა, რაც ჯანდაცვის ზოგადი ხარჯების 54%-ია.

გრაფიკი 15: ჯანდაცვის ხარჯების ზოგადი დინამიკა 2012-2017 წლები (მლნ. ლარი)




წყარო: ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები

განათლება

წინამდებარე თავებში განხილული იყო, რომ სკოლაში ფიზიკური აქტივობისა და სპორტის წახალისების კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სპორტის მასწავლებლების რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე (გრაფიკი 16) შეჯამებულია სკოლებში სპორტის მასწავლებლებთან რაოდენობა. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მასწავლებელთა უმეტესობა დაწყებით კლასებში ასწავლის და მათ მოვალეობებში სპორტის გაკვეთილის ჩატარებაც შედის. მეორე მხრივ, დაახლოებით 2,485 მასწავლებელი (2018 წლის მონაცემებით) ატარებს მხოლოდ სპორტის გაკვეთილებს. მონაცემები ცხადყოფს, რომ სპორტის ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა შედარებით დაბალია დაწყებით კლასებში (დაახლოებით 24 მოსწავლე ერთ მასწავლებელზე), ხოლო უფროს კლასებში ეს რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება (ერთ მასწავლებელზე დაახლოებით 145 მოსწავლე).

გრაფიკი 16: სპორტის მასწავლებელთა რაოდენობის შეჯამება



წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო


რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა ვერ მოიპოვა მონაცემები სპეციალიზირებული განათლების მქონე სპორტის მასწავლებელთა ზუსტი რაოდენობის შესახებ. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და არსებული პრაქტიკის საფუძველზე ანგარიშის შემდგომ ნაწილში ვაკეთებთ დაშვებას, რომ მასწავლებლები რომლებიც მხოლოდ სპორტს ასწავლიან, ფლობენ სპორტში უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

სპორტული ინდუსტრია

საქართველოში ამჟამად არ არსებობს დეტალური კვლევა ქვეყანაში სპორტული ინდუსტრიის განვითარების შესახებ. შესაბამისად, მოცემული რეგულირების ზეგავლენის შეფასება სპორტული ინდუსტრიის განვითარების ტენდენციების შეფასებისთვის ეყრდნობა ზოგად ბიზნეს სტატისტიკას. სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესების ბრუნვა⁵¹ 2013-2017 წლებში საკმაოდ მთავმბეჭდავად იზრდებოდა – წელიწადში საშუალოდ 20%-ით და დაახლოებით 88 მლნ. ლარს მიაღწია. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სექტორის წილი მთლიანად საქართველოში ბიზნესების ბრუნვაში მაინც უმნიშვნელოა (0.1%).

⁵¹ შენიშვნა: იურიდიული ან/და ფიზიკური პირი, შესაძლოა, სპორტულ საქმიანობასთან ერთად ეწეოდეს სხვა საქმიანობასაც (წყარო: სსიპ შემოსავლების სამსახური).

გრაფიკი 17: სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობები (მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

4. რეფორმის მიზნები

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და პრობლემის შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა რეფორმის ძირითადი მიზანი:

გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობა მოსახლეობაში არაგადამდები დაავადებების შემცირების გზით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია არაგადამდები დაავადებების პრევენცია მოსახლეობის ფიზიკურ აქტიულობაში ჩართულობის ზრდით, რაც განაპირობებს შემდგომ ქვემოთნებს:

1. მოსახლეობის ფიზიკური აქტიულობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა;
2. მოსახლეობის ფიზიკური აქტიულობისთვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა;
3. არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში.

აღნიშნული მიზნები აგრეთვე მოიცავს ქვემოთნებსა და შესაბამის ინდიკატორებს, რომლებიც მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 11: რეფორმის მიზნები

მიზანი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	მიზნის მიღწევის ვადა
1. მოსახლეობის ფიზიკური აქტიუობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა			
1. 5-17 წლის ასაკის მოსახლეობის ფიზიკური აქტიუობის (მასობრივ სპორტში ჩართულობის) ზრდა	ამ ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობის დონე მასობრივ სპორტში (%) სპორტულ სექციაში/კლუბში რეგისტრირებულ პირთა (5-17 წლის ასაკის) წილი მთლიან ასაკობრივ კატეგორიაში (%) სკოლების წილი, რომლებიც სრულფასოვნად ასრულებენ ეროვნული სასწავლო გეგმით	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	XX

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	გათვალისწინებული ფიზიკური აქტივობის საათებს (%) სკოლების წილი, რომლებიც საკუთარ ბაზაზე მოსწავლეებს სკოლისგარეშე სპორტულ მომსახურებას სთავაზობენ (%) კვალიფიციური სპორტის პედაგოგების რაოდენობა (%)		
2. სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხარისხიანი საგაკვეთილო პროცესის უზრუნველყოფა	მოსწავლეთა კმაყოფილების დონე (%)	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	XX
3. 18-64 წლის ასაკის მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის (მასობრივ სპორტში ჩართულობის) ზრდა	ამ ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეთა წილი, რომლებიც ასრულებენ ჯანმოს შესაბამის რეკომენდაციებს (%) ამ ასაკობრივ ჯგუფში ფიზიკურ აქტივობაში / მასობრივ სპორტში მოსახლეობის ჩართულობის დონე (%)	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	XX
4. 65+ წლის ასაკის მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის (მასობრივ სპორტში ჩართულობის) ზრდა	ამ ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეთა წილი რომლებიც ასრულებენ ჯანმოს შესაბამის რეკომენდაციებს (%) ამ ასაკობრივ ჯგუფში ფიზიკურ აქტივობაში / მასობრივ	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	XX

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	სპორტში მოსახლეობის ჩართულობის დონე (%)	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	
5. მასობრივ სპორტის ინკლუზიურობის უზრუნველყოფა	მასობრივ სპორტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის დონე (%) სპორტულ კლუბებში/სექციებში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წილი (%)	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველო ბები	XX
2. მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა			
2.1 სკოლებში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახლის შექმნა	სკოლების რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (%) სკოლების წილი, რომლებიც სრულფასოვნად ასრულებენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ფიზიკური აქტივობის საათებს (%)	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ინფრასტრუქტურ ისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო.	XX
2.2. მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის	მოსახლეობის ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამოქმედო გეგმის არსებობა	ინფრასტრუქტურ ისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრო;	XX

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	სამოქმედო გეგმის შესრულების დონე ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე მასობრივ სპორტში ჩართულობის პროგრამების არსებობა	ადგილობრივი თვითმმართველობი	
2.3 რეგულარული ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის ზრდა	ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით ინფორმირებულ მოქალაქეთა წილი (%)	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობები	XX
2.4 ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის (მასობრივ სპორტში ჩართულობის) ზრდაზე ორიენტირებული კოორდინირებული სახელმწიფო ძალისხმევის უზრუნველყოფა	ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდის / მასობრივი სპორტის განვითარების ფორმალურად გაწერილი სამოქმედო გეგმის არსებობა სამოქმედო გეგმების შესრულების დონე სპორტის განვითარებაზე გამოყოფილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ასიგნებებში მასობრივ სპორტზე გამოყოფილი ასიგნებების წილი (%)	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ადგილობრივი თვითმმართველობები	XX
3. არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში			
3.1. არაგადამდებ დაავადებათა	არაგადამდები დაავადებების გავრცელების მაჩვენებლები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან	XX

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

შემცირება ასაკობრივ ჯგუფებში	ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დაავადებათა კონტროლის ცენტრი.	
------------------------------	------------------------------	---	--

5. ალტერნატივების აღწერა

პოლიტიკის ალტერნატივები (სცენარები)

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებისა და პრობლემის შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა რეფორმის განხორციელების ორი ალტერნატივა:

- **სცენარი 0 (საბაზისო სცენარი)** - შენარჩუნდება არსებული პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული ტენდენციები, ძალაში დარჩება მოქმედი კანონი „სპორტის შესახებ“;
- **სცენარი 1** - ძალაში შედის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.

ალტერნატივა 0 (საბაზისო სცენარი)

„ალტერნატივა 0“ ითვალისწინებს არსებული სიტუაციის და პოლიტიკის შენარჩუნებას და გამორიცხავს რაიმე ტიპის ინტერვენციას (ჩარევას). ამ ვითარებაში უცვლელი რჩება ცენტრალური და თვითმმართველი ხელისუფლების მიდგომები და პოლიტიკა, ასევე უცვლელი რჩება დღეს მოქმედი „სპორტის შესახებ“ კანონის რედაქცია. ამ პირობებში შენარჩუნებულია მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობასთან, მასობრივ სპორტთან და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ტენდენციები.

დღეს მოქმედი „სპორტის შესახებ“ კანონი, ფიზიკური აღზრდისა და მასობრივი სპორტის ნაწილში, განსაზღვრავს სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროსა და თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას, დარგის მართვისა და დაფინანსების ასპექტებს, ასევე სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვა საკითხებს.

„სპორტის შესახებ“ კანონის მიზანია ერის გაჯანსაღება, მოქალაქეთა ჯანმრთელობის განმტკიცება, ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივება, სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება (მუხლი 1, „სპორტის შესახებ“ კანონი).

მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართვის პრობლემის აღმოფხვრის კუთხით აღსანიშნავია „სპორტის შესახებ“ მოქმედი კანონის შემდეგი ძირითადი დებულებები:

- სახელმწიფო უზრუნველყოფს სპორტში მოქალაქეთა ვარჯიშისა და საქმიანობის უფლებას;
- სახელმწიფო ქმნის აუცილებელ პირობებს სოფლის მოსახლეობის სპორტში ჩაბმისთვის, გასაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მაღალმთიან რეგიონებს;
- სპორტულ სკოლებს, კლუბებს, სექციებსა და სკოლისგარეშე სხვა დაწესებულებებს ეკისრებათ ბავშვების, ახალგაზრდების მოზიდვა და ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მეცადინეობებში;

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

- სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებით, სათანადო დაფინანსებით, სპორტსმენებისა და დარგის სპეციალისტების მატერიალური წახალისებით სახელმწიფო ხელს უწყობს სპორტის განვითარებას;
- სახელმწიფო სათანადო დახმარებასა და შეღავათებს უწევს სპორტის სფეროში მოღვაწე პენსიონერებს, ობლებს, ხელმოკლე ოჯახებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და შესაბამისი სპორტული ბაზების მშენებლობა ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან;
- სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები **ვალდებული არიან** უზრუნველყონ სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირება;
- სპორტის განვითარებისათვის **გამოყოფილი სახსრები ცალკე მუხლით** აისახება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში;
- მუნიციპალიტეტებში სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები (*გარდა იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა, სხვა სახელმწიფო და სხვა ტიპის ორგანიზაციებს ევალება*), აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში - აფხაზეთისა და აჭარის შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები.

ნიშანდობლივია, რომ მოქმედი კანონი **არეგულირებს მასობრივი სპორტის სისტემასთან დაკავშირებით საკითხთა ფართო სპექტრს**, მათ შორის, ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ადრეულ, სკოლამდელ, სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებებში; შრომითი დასაქმების ადგილებში, ძალოვან სტრუქტურებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში (თავი IV. მასობრივი სპორტი. „სპორტის შესახებ“ კანონი). კანონი განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეცადინეობის ხანგრძლივობა** უნდა იყოს კვირაში არანაკლებ 4 საათისა (მუხლი 12, „სპორტის შესახებ“ კანონი). ასევე, კანონი ადგენს, რომ **სპორტის სფეროში პედაგოგიური, სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი მუშაობის უფლება** ეძლევათ მხოლოდ სპეციალური განათლების მქონე მოქალაქეებს და პირებს, რომლებსაც აქვთ აკრედიტებული სასწავლების დიპლომი (მუხლი 25, „სპორტის შესახებ“ კანონი).

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონი ადგენს **ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უფლება-მოვალეობას** გამოიყენონ სპორტი როგორც ფიზიკური რეაბილიტაციისა და დაავადებების პროფილაქტიკის საშუალება (მუხლი 17, „სპორტის შესახებ“ კანონი).

„ალტერნატივა 0“ იგივე „სტატუს-კვო“ შენარჩუნების პირობებში:

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

- ✓ უცვლელი რჩება დღეს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უმეტესწილად ახდენს საყოველთაო მიზნების დეკლარირებას და ორიენტირებულია დარგში ჩართული სუბიექტების ძირითადი უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზე;
- ✓ უცვლელია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისათვის ხელშემწყობი და ხელშემშლელი გარემო პირობები:
 - შენარჩუნდება სპორტის პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების არსებული მიდგომა, რომლის პირობებშიც ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლებას (ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე) არ გააჩნია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივი სპორტის განვითარების ფორმალური (დამტკიცებული) გეგმა/პროგრამა; ამასთან, უცვლელი დარჩება საჯარო უწყებათა ბიუჯეტში მასობრივ სპორტზე გამოყოფილი ასიგნებები, რომელიც სპორტის მთლიანი დაფინანსების ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს;
 - გამოწვევად რჩება საჯარო დაწესებულებებში მასობრივი სპორტის განვითარების მიზნით შემუშავებული პროგრამებისა და მიდგომების ეფექტიანობა და შედეგიანობა;
 - შენარჩუნდება მოსახლეობის ფიზიკური პასიურობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ბოლო 4 წლის განმავლობაში თითქმის უცვლელია და წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას (გამოკითხულთა დაახლოებით 67%-ს გასული წლის განმავლობაში არც ერთხელ უვარჯიშია);
 - შენარჩუნებულია იმ პირთა დამოკიდებულებები, რომლებიც რეგულარულად არ არიან ჩართული სპორტში ან/და მათი ფიზიკური აქტივობა არ აკმაყოფილებს ჯანმოს მიერ რეკომენდირებულ ნორმას;
- ✓ კვლავ არ შესრულდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების კანონით დადგენილი ყოველკვირეული 4 საათიანი ნორმა;
- ✓ შენარჩუნებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებული გამოწვევები: კვალიფიციურ პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობა, არასაკმარისი ან გაუმართავი სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა;
- ✓ შენარჩუნდება სკოლისგარეშე სპორტულ კლუბებში რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობის წილი (ამჟამად სკოლის მოსწავლეთა მხოლოდ 20%-ია რეგისტრირებული სპორტულ კლუბებში);

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

- ✓ მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შენარჩუნებულია არაგადამდები დაავადებების გავრცელების ტენდენციები.

ალტერნატივა 1 - ძალაში შედის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი

ალტერნატივა 1-ის განხორციელება ითვალისწინებს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის ძალაში შესვლას, რის შედეგადაც უქმდება 1996 წელს მიღებული და დღეს მოქმედი „სპორტის შესახებ“ კანონი.

კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის გათვალისწინებით, კანონი ემსახურება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებას, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა მასობრივი სპორტი, სასპორტო განათლება და საკადრო უზრუნველყოფა, თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან, სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი მართვა.

კანონის პროექტის მიზანია მოსახლეობის გაჯანსაღება, ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული პიროვნების ფორმირება და სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მუხლი 2). დოკუმენტი განსაზღვრავს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების ზოგად პრინციპებს, სფეროში ჩართული საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების და განხორციელების ნაწილში, კანონპროექტი ადგენს (არასრული ჩამონათვალი):

- **სპორტული ორგანიზაციები ვალდებული არიან**, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ მთავრობის მიერ სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესრულება (მუხლი 5);
- სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტრო უზრუნველყოფს **სპორტული ორგანიზაციების აღიარებას და მათ დაფინანსებას**, ასევე დაფინანსებისთვის საჭირო კრიტერიუმების განსაზღვრას (მუხლი 6);
- სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, **სპორტული ფედერაციები სახელმწიფოსთან თანამშრომლობენ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე** და იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივ დაფინანსებას (მუხლი 10);
- სპორტზე პასუხისმგებელ სამინისტროს ევალება **სპორტული სტატისტიკის წარმოება** და მუდმივი განახლება (მუხლი 6).

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ალტერნატივა 1-ის განხორციელებით ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს ენიჭებათ შემდეგი უფლება-მოვალეობები:

- მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა დასაქმებულ პირთა მუდმივი **გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების** უზრუნველყოფა;
- სპორტის სახეობების **მასობრიობის განვითარება**, სპორტული კლუბებისა და სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციების დაფუძნება და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სპორტის შესაბამისი სახეობების **განვითარებისთვის მრავალწლიანი პროგრამების შედგენა**, დამტკიცება და განხორციელების მონიტორინგი. კანონპროექტი ადგენს, რომ ასეთი პროგრამების შესრულების თაობაზე, ფედერაცია შესაბამის ანგარიშს წარუდგენს სპორტზე პასუხისმგებელ სამინისტროს წელიწადში რამდენჯერმე. კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ პროგრამებში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია სამიზნე ორიენტირების და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ. პროგრამისადმი მოთხოვნებს (ფორმას, სტრუქტურას, შინაარსს) ამტკიცებს სამინისტრო.

მოქმედი კანონისგან განსხვავებით, ალტერნატივა 1-ში გაკეთებულია გამოყენებული ტერმინების, მათ შორის: „სპორტი“, „მასობრივი სპორტი“, „ფიზიკური აღზრდა“, „სასკოლო სპორტი“, „საუნივერსიტეტო სპორტი“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტი“ განმარტებები.

ფიზიკური აღზრდისა და მასობრივი სპორტის ნაწილში, მოქმედი კანონისგან განსხვავებით, **ალტერნატივა 1-ში შემოთავაზებულია ახალი ინტერვენციები**. კერძოდ, კანონის პროექტის ძალაში შესვლით (ძირითადი მიმართულებები):

- სავალდებულო ხდება ადრეულ და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეგულარული ფიზიკური აქტივობისთვის განკუთვნილი დრო განისაზღვროს კვირაში არანაკლებ 3 საათისა; კანონი განსაზღვრავს, რომ აღსაზრდელთა ფიზიკური აქტივობის ვარჯიშს უძღვება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელ-პედაგოგი (მუხლი 25);
- უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მიუხედავად პროფილისა და საკუთრების უფლებისა, დაეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ სპორტში სტუდენტთა აქტიური ჩართულობა და სპორტული შეჯიბრებების ჩატარება. კანონი ადგენს, რომ საქართველოში საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სპორტული ორგანიზაცია (მუხლი 27);
- სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპორტულ აქტივობებში ჩართულობისთვის და ადაპტირებული გარემოს შექმნისთვის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები;

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

- სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ხელი შეუწყოს პარაოლიმპიური (შშმპ), სურდოლიმპიური (ყრუ და სმენადაქვეითებული პირები) და სპეციალური (გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირები) სპორტული მოძრაობების განვითარებას, რისთვისაც გამოიყოფა საბიუჯეტო ასიგნებები;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში პედაგოგიური საქმიანობის⁵² უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ან/და პროფესიული სასპორტო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და გავლილი აქვთ მასწავლებლის მომზადების შესაბამისი პროგრამა (მუხლი 31);
- ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებული ხდება ყოველწლიურად მოაწყოს, განავითაროს ან/და განახორციელოს სარეაბილიტაციო სამუშაოები მათი ტერიტორიის ფარგლებში არსებულ სპორტულ ობიექტებზე, მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საერთო ასიგნებებიდან (მუხლი 45);
- იკრძალება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა ან რეკონსტრუქცია სპორტული ობიექტის გაუთვალისწინებლად;
- სამინისტროს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრებაში (ან სახელმწიფო დაფინანსებით) არსებული სპორტული ობიექტების მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგი;
- ყალიბდება სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანა, უზრუნველყოს შესაბამისი პირობები სპორტში გენდერული თანასწორობისა და ბალანსის დაცვისთვის. ასევე, სპორტულ ფედერაციებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ შესაბამისი სპორტის სახეობის თანაბარი ხელმისაწვდომობა გენდერული და სხვა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში. აღსანიშნავია, რომ სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროს კომპეტენციას ემატება ახალი ფუნქცია - „ქალთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა“;
- სახელმწიფო იღებს ვალდებულებას იზრუნოს სპორტული ობიექტების მომსახურების ხელმისაწვდომობაზე სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის;
- საწვრთნელო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, გადამზადების დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და შესაბამისი სპორტული ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია (მუხლი 31);

⁵² „პედაგოგიური საქმიანობა – მოსწავლეებთან მასწავლებლის საგაკვეთილო და დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა“. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

- სასკოლო სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სპორტული ფედერაცია, რომელიც ატარებს ეროვნულ სასკოლო შეჯიბრებებს (მუხლი 26).

მოქმედი კანონის ანალოგიურად, შემოთავაზებული „ალტერნატივა 1“ ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, კვირის განმავლობაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების 4 საათიან დატვირთვას. ასევე, მოქმედი კანონის მსგავსად შემუშავებული კანონის პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ვალდებულებას გამოყოს ყოველწლიურად საბიუჯეტო დაფინანსება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების მიზნით (მუხლი 46).

ალტერნატივა 1-თან დაკავშირებული პოტენციური რისკები:

- იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლებისთვის გადამზადების პროგრამისა და უმაღლესი ან/და პროფესიული სასპორტო განათლების სავალდებულობა გავრცელდება დღეს მოქმედ პედაგოგებზე, ამან შესაძლოა გამოიწვიოს სკოლების ნაწილში სასწავლო პროცესის შეჩერება. გარდა ამისა, პედაგოგების გადამზადების პროგრამის სავალდებულობა წარმოქმნის დამატებით ხარჯებს, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე თავად მოქმედი და პოტენციური მასწავლებლებისთვის (მასწავლებლებს/მასწავლებლობის მხურველებს, რომლებიც არ ცხოვრობენ პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებელთან ახლოს, სწავლის პერიოდში მოუწევთ დამატებითი ხარჯების გაღება დაბინავების, ტრანსპორტირებისა და კვების უზრუნველსაყოფად);
- ახალი სკოლებისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის სავალდებულო მოწყობის აღსრულებისთვის აუცილებელი იქნება შესაბამისი სტანდარტის შექმნა და მისი შესრულების მონიტორინგი;
- სკოლამდელი განათლების დონეზე არ არსებობს განსაზღვრული საგაკვეთილო პროცესი და საათობრივი ბადე. შემოთავაზებული სავალდებულო საათობრივი დატვირთვის შემოღების კონტროლი და მონიტორინგი იქნება შეუძლებელი;
- უმაღლეს და პროფესიულ სპორტულ შეჯიბრებებში სტუდენტების ჩართვის ვალდებულება პოტენციურად შეიძლება ჩაითვალოს აკადემიურ თავისუფლებაში ჩარევად, რაც შესაძლოა ზღუდავდეს სასწავლებლის ავტონომიას. აგრეთვე, ხსენებული ვალდებულება ქმნის რისკებს ისეთი სპეციალიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც არ ფლობენ დიდი მასშტაბის საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურას;
- შემოთავაზებული კანონის პროექტის ძალაში შესვლამ შესაძლოა ზეგავლენა ვერ მოახდინოს მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფიზიკური აქტივობის დონისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდაზე. ეს ვარაუდი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კანონის პროექტი არსებით აქცენტებს აკეთებს სპორტში სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა ჩართულობის თაობაზე.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

6. ალტერნატივების ანალიზი

6.1 თვისებრივი შეფასება

ცხრილი 12: თვისებრივი ზეგავლენის შეფასება

ზეგავლენა	ალტერნატივა 1
ადმინისტრაციული	ალტერნატივა 1-ის განხორციელება მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ზეგავლენას ახდენს რამდენიმე სექტორზე: (i) განათლების ყველა საფეხურზე, (ii) სპორტის ბიზნესზე და (iii) ადგილობრივ თვითმმართველობებზე. ალტერნატივის განხორციელებას ზეგავლენა ექნება შესაბამის სექტორებზე: განათლების სექტორში სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში შემოთავაზებული სამ საათიანი დატვირთვის ვალდებულება თავის მხრივ გააჩენს საგაკვეთილო პროცესის არსებობის საჭიროებას, რათა მოხდეს ნორმის აღსრულება და მისი მონიტორინგი. გარდა ამისა, საჭირო იქნება მასწავლებელთა გადამზადება, ხსენებულ საათებში განსახორციელებელი სასწავლო პროგრამისა და სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო გეგმის არსებობა; საშუალო სკოლებისთვის საჭირო იქნება მასწავლებელთა გადამზადების სათანადო რაოდენობის პროგრამების არსებობა. გარდა ამისა, სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ვალდებულების აღსასრულებლად აუცილებელი იქნება სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურის სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება; მოსალოდნელია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტთა სპორტში ჩართულობის კუთხით არსებული ვალდებულებების აღსრულება მნიშვნელოვნად არ

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	შეცვლის არსებულ სურათს. თუმცა, კერძო სპეციალიზებულ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში (რომლებსაც აქვთ შედარებით მცირე პროგრამები) შესაძლოა ნორმის აღსრულება გართულდეს, რაც წარმოქმნის დამატებით ადმინისტრაციულ ხარჯებს სასწავლებლებისთვის. სპორტის ბიზნესზე: შემოთავაზებულმა ალტერნატივამ სპორტის ბიზნესს შესაძლოა შეუქმნას დამატებითი ადმინისტრაციული ტვირთი, რომელიც დაკავშირებული იქნება მწვრთნელების სავალდებულო სერტიფიცირებასთან. აღნიშნული ნორმის აღსრულებისთვის საჭირო იქნება სათანადო სერტიფიცირების პროგრამის მომზადება. აგრეთვე, გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო სერტიფიკატების აღიარებასთან დაკავშირებით. ადგილობრივ თვითმმართველობებზე: ალტერნატივით შემოთავაზებული სავალდებულო ყოველწლიური ინვესტიცია მოითხოვს დამატებით კონტროლს გამოყოფილი რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად ხარჯვაზე.
სამართლებრივი	ალტერნატივა ითვალისწინებს სპორტის სფეროში მოქმედი თანამედროვე ტერმინოლოგიის სამართლებრივ განმარტებას, რაც <u>ცალსახად დადებით გავლენად</u> უნდა ჩაითვალოს სფეროს განვითარებაზე. ალტერნატივის შედეგად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ვალდებული იქნებიან კვირაში 3 საათი დაუთმონ რეგულარულ ფიზიკურ აქტივობას. აღნიშნული რეგულაციის <u>ზეგავლენა ვერ შეფასდება</u>, რამდენადაც საერთაშორისო ლიტერატურაში არ არის ცალსახა მტკიცებულება იმისა, თუ რა მასშტაბის დადებით ზეგავლენას ახდენს რეგულარული ფიზიკური აქტივობა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჯანმრთელობაზე. ეს კი ხელს უშლის ამ მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას (იხ. „ჯანმოს გლობალური რეკომენდაციები ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური აქტივობის თაობაზე“, 2010). გარდა ამისა, ალტერნატივა არ განმარტავს რა იგულისხმება რეგულარულ ფიზიკურ აქტივობაში, სხვა შემთხვევაში ბავშვები აღნიშნულ დაწესებულებებში ისედაც არიან დაკავებული ფიზიკური აქტივობით.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

შემოთავაზება **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის კვირაში არანაკლებ 4 საათი ჩატარების თაობაზე, ვერ ჩაითვლება სიახლედ, ვინაიდან იგი სრულად იმეორებს მოქმედი კანონის ნორმის შინაარსს. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ნორმა, რომელიც გათვალისწინებულია ამჟამინდელი კანონმდებლობითაც, პრაქტიკაში არ სრულდება ორი მიზეზის გამო: (i) სკოლების უმეტესობას არ აქვს საკმარისი რესურსები (ინფრასტრუქტურა, მასწავლებლები და თავისუფალი საგაკვეთილო საათების რაოდენობა) იმისათვის, რომ ჩაატარონ სპორტის გაკვეთილები კვირაში 4 საათის ოდენობით; (ii) ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სპორტის გაკვეთილების რაოდენობას 3 საათით, რასაც სკოლების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს⁵³.

მასობრივი სპორტის განვითარებაზე ცალსახად დადებით გავლენას მოახდენს სპორტის სფეროში კვალიფიციური პირების დასაქმება, რასაც ითვალისწინებს შემოთავაზებული ალტერნატივა. თუმცა, ალტერნატივამ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი დათქმები ვადებისა და რესურსების მითითებით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია კვალიფიკაციის შემოწმების/სერტიფიცირების სხვადასხვა ასპექტები, როგორც არის საერთაშორისო სერტიფიკატების აღიარების საკითხი, თვითრეგულირების საკითხი და ა.შ.

ალტერნატივის შემოთავაზებამ საუნივერსიტეტო სპორტის ნაწილში მოსალოდნელია დადებითი გავლენა მოახდინოს სპორტში სტუდენტთა ჩართულობის ზრდაზე. თუმცა, ეს დანაწესი შესაძლებელია გავრცელდეს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ერთი დათქმით - თუ უმაღლესი დაწესებულებები თვითონ განსაზღვრავენ რა ფორმით უზრუნველყონ სტუდენტების ჩართულობა (საუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებების ჩატარებასა და სტუდენტთა მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო სტუდენტურ ღონისძიებებში, მათ შორის სტუდენტურ სპორტულ უნივერსიადებში). რაც შეეხება კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, მათი დავალებულება არ იქნება მიზანშეწონილი, მათივე შესაძლებლობების გათვალისწინებით (თუ სახელმწიფო ამას დააკანონებს, იგი ვალდებულია გამონახოს საჭირო ფინანსური რესურსი, რაც კერძო სასწავლებლების შემთხვევაში არ იქნება მიზანშეწონილი). რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებს, ხშირ შემთხვევაში ისინი ახორციელებენ ხანმოკლე სასწავლო პროგრამებს (3-6 თვის ხანგრძლივობით), ამასთან

⁵³ მეტი დეტალებისთვის იხ. პრობლემის განსაზღვრის თავი

	მათი ინფრასტრუქტურა შესაძლოა იყოს ძალიან მცირე მასშტაბის, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ალტერნატივის განხორციელებას. ალტერნატივა <u>არ ახდენს გავლენას</u> და არაფერს ცვლის ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა (ცვლილება მხოლოდ მათ პროფესიულ სპორტში ჩართვას ითვალისწინებს), ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდაზე.
განათლების სექტორზე	<u>სკოლამდელი განათლება</u> ალტერნატივის განხორციელებას <u>დიდი გავლენა ექნება</u> ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო სისტემაზე, ასევე ის <u>გავლენას მოახდენს</u> საჯარო ხელისუფლების ინსტიტუციურ ჩარჩოსა და ადამიანურ რესურსზე. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ფიზიკური აქტივობებისთვის განკუთვნილი დროის განსაზღვრა - კვირაში 3 საათი, <u>გამოიწვევს სკოლამდელი აღზრდის სასწავლო გეგმის ცვლილებას</u> და საათობრივი ბადის გაჩენას. აღნიშნული ცვლილებებით ფაქტობრივად <u>სრულად იცვლება</u> ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფეროში არსებული მიდგომა, რომლის შედეგად სწავლება გადავა საგაკვეთილო სისტემაზე. ამასთან, ალტერნატივის განხორციელება <u>გავლენას ახდენს საჯარო ხელისუფლების ინსტიტუციურ ჩარჩოზე</u>. კერძოდ, კანონით განსაზღვრული საათობრივი ბადის შესრულების მონიტორინგი/კონტროლი მოითხოვს ხელისუფლების მხრიდან დამატებითი რესურსის (ადამიანური/ტექნიკური) გამოყოფას ან/და არსებულ რესურსზე დატვირთვის ზრდას. კანონპროექტის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში აღსაზრდელთა ფიზიკური აქტივობის ვარჯიშებს უძღვება აღმზრდელ-პედაგოგი, რომელსაც გააჩნია ფიზიკური აღზრდის სფეროში შესაბამისი კვალიფიკაცია. აღნიშნული მოითხოვს აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, ან/და ფიზიკური აღზრდის სპეციალისტის შტატის დამატებას, რაც თავის მხრივ, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ მიმართულებით დამატებითი მოთხოვნის გაჩენა გამოიწვევს მთელ რიგ ცვლილებებს უკვე დამტკიცებულ სტანდარტში N487 აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №97/ნ აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

განვითარების ტრენინგ-მოდულში, ასევე საბაკალავრო პროგრამების ხარისხის სტანდარტებში, რათა მომავალში ამ პროფესიაში შესული კადრებისთვის სასწავლო პროგრამაშივე იქნას ინტეგრირებული ყველა ვალდებულება.

ზოგადი განათლება

ალტერნატივის განხორციელებამ, მოკლე პერიოდში, შესაძლოა გამოიწვიოს მკვეთრად უარყოფითი გავლენა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგაკვეთილო პროცესზე. ალტერნატივის წარმატებით განხორციელება საჭიროებს სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სიღრმისეულ შესწავლას და დაგეგმვას, მოქმედ პედაგოგთა გადამზადებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და განვითარებას. აღნიშნული დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან გასაწევ დიდ დანახარჯებთან.

კანონპროექტის დამტკიცებით სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგაკვეთილო პროცესის საათობრივი განაწილება არ იცვლება. თუმცა, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვასთან. შედეგად მოსალოდნელია: (i) კანონით გათვალისწინებული ნორმის არ აღსრულების პრაქტიკის გაგრძელება, ან (ii) ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილება და შესაბამისი ინვესტიციების განხორციელება სასკოლო ინფრასტრუქტურისა განვითარებისა და მასწავლებელთა მოზიდვის კუთხით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტის გაკვეთილისთვის გამოსადეგი შესაბამისი ინფრასტრუქტურის (დარბაზი, მოედანი) სიმცირის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილი რამდენიმე კლასს ერთდროულად უტარდება. აღნიშნული განსაკუთრებით დიდ გამოწვევას წარმოადგენს დიდკონტიგენტიანი სკოლებისთვის (4 და მეტი პარალელური კლასი)⁵⁴. კანონი გათვალისწინებული საათობრივი მოთხოვნის აღსრულებისთვის აუცილებელი იქნება სკოლებში სასპორტო ინფრასტრუქტურის იმგვარად მოწყობა, რომ სკოლისთვის შესაძლებელი გახდეს ჩაატაროს კვირაში 4 საათი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი ყველა კლასისთვის. გარდა ამისა, ალტერნატივის განხორციელებისთვის, საჭირო გახდება ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა რაოდენობის ზრდა. დღეის მდგომარეობით, ფიზიკური აღზრდის

⁵⁴ ეს საკითხი წამოიჭრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების (დირექტორები და ადმინისტრაციის თანამშრომლები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები) ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებზე

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	გაკვეთილებს, საჯარო და კერძო სკოლებში, უძღვება დაახლოებით⁵⁵ 11,169 მასწავლებელი. სპეციალისტთა უხეში გათვლებით, კანონის აღსრულებისთვის, სულ მცირე 3500 მასწავლებლის დამატება გახდება საჭირო, რაც თავის მხრივ, დამატებით დროით და ფინანსურ ხარჯვებთანაა დაკავშირებული (ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო). ზემოაღნიშნულთან ერთად, ალტერნატივის განხორციელება <u>გამოიწვევს სკოლებში საათობრივი ბადის გადატვირთვას</u> (დღეში 7 ან 8 გაკვეთილი მოსწავლეებისთვის), რაც აღემატება მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით დაშვებულ მაქსიმალურ საათებს (5-6 საათი). სკოლების მიერ საათების დამატების შემთხვევაში, სკოლების ადმინისტრაციის დღის წესრიგში დადგება მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი კვებისა და დასვენების შეთავაზების საკითხი (ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი IV, მუხლი 16. სასწავლო წლის კალენდარი). <u>სპორტის მასწავლებელი</u> ალტერნატივის განხორციელება <u>დიდ გავლენას ახდენს</u> ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებსა და პედაგოგის სტატუსის მიღების მსურველებზე. კანონპროექტის ძალაში შესვლით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, ვისაც აქვს (i) უმაღლესი ან/და პროფესიული სასპორტო განათლების დამადასტურებელი დიპლომი, და (ii) გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. დღეს მოქმედ პედაგოგებზე ზემოხსენებული ვალდებულების გავრცელება გამოიწვევს სისტემის კრიზისს. არსებული მონაცემებით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგაკვეთილო პროცესში დღეს ჩართულ პედაგოგთა 77%-ს არ აქვს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე არ აქვს გავლილი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.
ეკონომიკური	შემოთავაზებულმა ალტერნატივამ შესაძლოა ეკონომიკური ზეგავლენა მოახდინოს (i) ჯანდაცვის სექტორზე, (ii) შრომის ბაზარზე, (iii) მცირე და საშუალო ბიზნესზე. ჯანდაცვის სექტორზე მოსალოდნელი ზეგავლენა დეტალურად არის განხილული ანგარიშის ამავე თავში.

⁵⁵ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2019.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	• ალტერნატივის ზეგავლენა შრომის ბაზარზე დამოკიდებული იქნება იმაზე, გამოიწვევს თუ არა ის მოსახლეობის ჩართულობის ზრდას ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში. ჩართულობის ზრდა პოტენციურად გამოიწვევს შრომის ძალის პროდუქტიულობის ზრდას, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს ეკონომიკაზე. თუმცა, მოცემულ კანონში არსებული დებულებები არ იძლევა საშუალებას გაკეთდეს დაშვება მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტში ჩართულობის ზრდასთან დაკავშირებით; • ალტერნატივის განხორციელების პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლოა გაეზარდოს დანახარჯები. ეს გამოწვეული იქნება მეტწილად სპორტის სექტორში მომუშავე კომპანიებისთვის მწვრთნელთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯებით. მწვრთნელთა სერტიფიცირების ზეგავლენა სპორტულ ბიზნესზე დამატებით დეტალური კვლევის საგანია. ამასთან, მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი იქნება იმ ბიზნესების ხარჯების ზრდა, რომლებიც ქირაობენ მწვრთნელებს. აღნიშნული ხარჯების ზრდა დამოკიდებული იქნება სერტიფიცირების ღირებულებაზე და მწვრთნელების ხელფასების შესაძლო ზრდაზე. ასეთმა ხარჯებმა შესაძლოა გამოიწვიოს სპორტული სექციების ფასების ზრდა, რაც მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში ჩართულობაზე უარყოფითად იმოქმედებს (თუმცა ეს ეფექტიც დამოკიდებული იქნება სერტიფიცირების პროგრამის ღირებულებაზე). გარდა ამისა, ამ ბიზნესში მომუშავე კომპანიებისთვის გაიზრდება ადმინისტრაციული ტვირთი, რომელიც გამოწვეული იქნება მწვრთნელთა სერტიფიცირების ვალდებულების აღსრულებითა და მონიტორინგის მოთხოვნების დაკმაყოფილებით.
სოციალური - საზოგადოებრივი ჯანდაცვა	• ალტერნატივას აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს არაგადამდები დაავადებების პრევენციას, ასევე ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების შემცირებას. აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შემცირებაზე. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა⁵⁶ აჩვენებს, ამ გავლენის მისაღწევად აუცილებელია ყოვლისმომცველი ჩარევის პოლიტიკის განხორციელება. • კანონპროექტში არათანაბრად არის გათვალისწინებული მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ინტერესები, შესაბამისად, მისი გავლენა საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე შესაძლოა შეფასდეს როგორც სუსტი.

⁵⁶ [Global Action Plan on Physical Activity 2018-2030 “More active people for a healthier world”](#). World Health Organization, 2018.

	• ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა/სტუდენტთა სპორტში რეგულარული მონაწილეობის ხელშეწყობა, ასევე პედაგოგებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნულმა შესაძლოა <u>დადებითი ზეგავლენა</u> იქონიოს მავნე ჩვევებთან (თამბაქო, ალკოჰოლი) მიმართებაში მოსწავლეთა დამოკიდებულებების შეცვლაზე. • ალტერნატივის განხორციელება <u>არ ახდენს გავლენას</u> სპორტში ზრდასრულთა ჩართულობის ხელშეწყობაზე. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ 30 წლის შემდეგ ასაკის მატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად კლებულობს ადამიანთა ფიზიკური აქტივობის დონეზე, რაც ხელს უწყობს ამ ადამიანებში არაგადამდები დაავადებებით ავადობას და მათი შრომისუნარიანობის დაქვეითებას ან/და ნაადრევ სიკვდილს. • მოქმედ კანონთან მიმართებაში წარმოდგენილი <u>ალტერნატივით უქმდება</u> შრომითი დასაქმების ადგილებში (საწარმოო დაწესებულებები, ორგანიზაციები და სხვა) ადმინისტრაციის ვალდებულება შეუქმნას თავის თანამშრომლებს სათანადო პირობები სპორტულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართულობის მიზნით (სამუშაო პროცესში და სამუშაოს შემდგომ).
სოციალური	• შემოთავაზებული ალტერნატივის პირობებში ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში სოციალურად დაუცველი პირების ჩართვის გზები არ არის გათვალისწინებული. ალტერნატივის პირობებში არ ხდება სხვადასხვა ჯგუფების ჩართვისათვის (მათ შორის შშმ პირების - ზეგავლენის შეფასება მოცემულია ამავე თავში) მიზნობრივ დახმარებაზე პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრა. • მოქმედ კანონთან შედარებით, წარმოდგენილ ალტერნატივაში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება შექმნას აუცილებელი პირობები სოფლის და განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სპორტში ჩაბმისთვის. აღნიშნულმა შესაძლოა <u>გავლენა მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე</u>.
გარემოსდაცვითი	სუსტი ან საშუალო ზეგავლენა ალტერნატივის გარემოზე ზეგავლენის შეფასებას ართულებს კანონის შესაბამისი დებულებების ზოგადი ხასიათი. სავარაუდოდ, ალტერნატივის განხორციელებით <u>გაიზრდება გარემოზე ზეგავლენა</u>. მოსალოდნელია, რომ შემოქმედება განპირობებული იქნება „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემდეგი დებულებებით:

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

- სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანას განეკუთვნება „სპორტული ტურიზმის განვითარება“.** სპორტული ტურიზმი დაკავშირებულია: ბუნებაში ახალი საფეხმავლო თუ სხვა ტიპის მარშრუტებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასთან/მოწყობასთან, არსებულ მარშრუტებზე ვიზიტორთა ზრდასთან. შესაბამისად, სპორტული ტურიზმის განვითარება ზრდის გავლენას გარემოზე. ნიშანდობლივია, რომ სპორტული ტურიზმის განვითარება ასევე გულისხმობს სპორტის მეშვეობით საერთაშორისო ვიზიტორთა (გულშემატკივარი, მოყვარული სპორტსმენი, დამსვენებელი) ნაკადების ზრდას მათთვის სასურველი სერვისების შემოთავაზებით, მაგ: სპორტულ შეჯიბრებებზე დასწრება, სპორტულ ღონისძიებებში (ექსტრემალური სპორტი, თხილამურები, ჯომარდობა, სხვა) მონაწილეობა და სხვა. აღნიშნული ზრდის გარემოზე ზეგავლენას ისეთ ასპექტებში, როგორებიცაა: ტრანსპორტირებით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, ტერიტორიის დანაგვიანება და სხვა. მნიშვნელოვანია სპორტული ტურიზმის ზეგავლენის შეფასება ეკოსისტემაზე კონკრეტული შემთხვევების მიხედვით. დასაშვებია, რომ სპორტული ტურიზმის განვითარებამ, გარკვეულ ასპექტებში, დადებითი გავლენა მოახდინოს გარემოზე. საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, აპრობირებულია ქალაქის ურბანულ ნაწილში გადაადგილების ეკოლოგიურად სუფთა (ველოსიპედი, თვითგორია (სამოკატი), გორგოლაჭები (როლიკები) და სხვა) გადაადგილების საშუალებების გამოყენების ხელშეწყობა და ავტომობილებით მოძრაობის აკრძალვა. გარდა ამისა, სპორტული ტურიზმის განვითარებამ შესაძლოა გაზარდოს მოთხოვნა სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისზე, რამაც სწორი მართვის პირობებში შესაძლოა ხელი შეუწყოს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას.
- „ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია ყოველწლიურად მოაწყოს, განავითაროს ან/და განახორციელოს სარეაბილიტაციო სამუშაოები მათი ტერიტორიის ფარგლებში არსებულ სპორტულ ობიექტებზე, მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საერთო ასიგნებებიდან“.** სპორტული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან. დიდია ახალი სპორტული ობიექტების მშენებლობით გამოწვეული ზეგავლენა გარემოზე, აღნიშნული გამოიხატება სპორტული ობიექტის მშენებლობის და შემდგომში მისი მართვის პროცესში წყლის, გაზისა და ელექტროენერგიის რესურსების გამოყენებაში. მეორე მხრივ, მომველებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს გარემოზე არსებული უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, რაც შესაძლოა დადებით გავლენად შეფასდეს.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	• „სპორტული ინფრასტრუქტურის პროექტირების, მშენებლობის ან რეკონსტრუქციის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს სპორტული ობიექტის ტექნიკური რეგლამენტი ან/და საერთაშორისო სტანდარტები“. გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, შესაძლებელია, ტექნიკურ რეგლამენტში გათვალისწინებული იყოს ისეთი სტანდარტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ობიექტის მშენებლობისა და მართვის პროცესში გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, ბუნებრივი რესურსების დაზოგვას. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი კანონმდებლობის ამ დებულების აღსრულებისათვის აუცილებელი იქნება კანონქვემდებარე აქტების შექმნა ან/და ცვლილებების შეტანა არსებულ კანონმდებლობაში.
საჯარო ფინანსებზე	ალტერნატივის განხორციელების პირობებში მოსალოდნელია სახელმწიფო ხარჯების ზრდა. სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი რესურსების გამოყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროება იქმნება განათლების სექტორში, რომელიც გამოწვეულია სკოლის მასწავლებლების გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯებით. აღნიშნული ხარჯების დეტალური შეფასება მოცემულია ანგარიშის რაოდენობრივ ანალიზში. მასწავლებლების გადამზადება, რომლებიც მხოლოდ სპორტის გაკვეთილებს არ ატარებენ (სპორტის არასპეციალისტი მასწავლებლები) 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 5,365 მლნ. ლარი დაჯდება დღევანდელი ღირებულებით. თუ გადამზადების პროცესში სავალდებულოდ ჩაერთვებიან დაწყებითი კლასების მასწავლებლებიც, რომლებიც თავიანთ კლასებში სპორტის გაკვეთილებს ატარებენ (სპორტის არასპეციალისტი მასწავლებლები დაწყებით კლასებში), გადამზადების ღირებულება 10 წლის მანძილზე იქნება 25 მლნ ლარი დღევანდელი ღირებულებით. გარდა ამისა, სკოლებში სპორტის საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი იქნება სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ან ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა. რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე აღნიშნული ხარჯები შეფასდა 444 მლნ. ლარით 10 წლის მანძილზე. მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტში ჩართულობის ზრდას აქვს მოსალოდნელი დადებითი ეფექტებიც სახელმწიფო ფინანსებზე. კერძოდ, ფიზიკურ აქტივობაში მოსახლეობის ჩართულობის პირობებში მოსალოდნელია სახელმწიფო ხარჯების შემცირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით. რაოდენობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდით შესაძლებელია სულ ცოტა 67 მლნ. ლარის დაზოგვა 10 წლის განმავლობაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ ხარჯების დაზოგვის პოტენციალი იქმნება მხოლოდ ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში მოსახლეობის ჩართულობის ზრდის პირობებში, რაც ჩვენი შეფასებით არსებული ალტერნატივიდან მოსალოდნელი არ არის.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

გენდერი

ალტერნატივის განხორციელება სუსტ გავლენას მოახდენს სპორტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე. შესაძლოა ალტერნატივას ჰქონდეს როგორც მცირე დადებითი, ასევე საშუალო უარყოფითი გავლენა.

ალტერნატივის განხორციელების შემთხვევაში კანონში გაჩნდება ჩანაწერი, რომელიც წარმოშობს ზოგადი ხასიათის ვალდებულებას საჯარო პოლიტიკის გამტარებელი უწყებებისა და სპორტული ორგანიზაციებისთვის, უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა და სპორტის სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა გენდერული დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში. კერძოდ, „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ კანონით ყალიბდება სახელმწიფო პოლიტიკის ახალი ამოცანა - „სპორტში გენდერული თანასწორობისა და ბალანსის დაცვისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა“. ასევე, კანონი ითვალისწინებს სპორტული ორგანიზაციების ვალდებულებას „უზრუნველყონ შესაბამისი სპორტის სახეობის თანაბარი ხელმისაწვდომობა გენდერული და სხვა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში“. მოსალოდნელია, რომ აქ ჩამოთვლილი ზოგადი დებულებების გათვალისწინებით, ალტერნატივის განხორციელებას ექნება სუსტი დადებითი გავლენა.

ნიშანდობლივია, რომ „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის“ კანონის მე-6 მუხლით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციების ჩამონათვალს ემატება ახალი ფუნქცია - „ქალთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა“. აღსანიშნავია, რომ კანონში არ არის განმარტებული ტერმინი „ქალთა სპორტი“. კანონპროექტის ავტორთა ინფორმაციით, აღნიშნული ჩანაწერი ემსახურება სპორტში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობას და სამინისტროს მიერ ამ საკითხისთვის პრიორიტეტის მინიჭებას. თუმცა:

- გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომზადებულ საერთაშორისო კვლევებსა და ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სპორტის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სტერეოტიპული დამოკიდებულებები. ამ სტერეოტიპით სპორტი განიხილება მასკულანურ ჭრილში, სადაც აქცენტი გაკეთებულია მამაკაცების ფიზიკურ ძალასა და გამძლეობაზე, ხოლო ქალი განიხილება როგორც სუსტი და ნაზი ადამიანი. ეს დამოკიდებულება ითვალისწინებს სპორტის დაყოფას „კაცთა“ და „ქალთა“ სპორტად, სადაც „ქალთა სპორტს“ განეკუთვნება შეზღუდული რაოდენობის სპორტული სახეობები, მაგალითად: ცეკვა, ტანვარჯიში, ჩოგბურთი, სინქრონული ცურვა და სხვა.

	საქართველოში ჩატარებულ კვლევაზე - „გენდერული თანასწორობა სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში“⁵⁷ - დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სპორტში გენდერული სტერეოტიპების პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ კანონში გაჩენილმა ჩანაწერმა („ქალთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა“) <u>საშუალო უარყოფითი გავლენა</u> მოახდინოს სპორტში გენდერულ თანასწორობაზე. ეს გამოწვეული იქნება იმით, რომ ალტერნატივა ხელს შეუწყობს სპორტში ქალთა და კაცთა მონაწილეობასთან დაკავშირებით საზოგადოების და დარგში დასაქმებული პირების სტერეოტიპული დამოკიდებულებების გაღრმავებასა და გამყარებას.
შეზღუდული შესაძლებლობის პირები (შშმპ)	- ალტერნატივის განხორციელებას შესაძლოა <u>მცირე პოზიტიური ზეგავლენა</u> ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ვინაიდან კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი სამიზნე ჯგუფების (სპეციალური საჭიროებისა და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირები, სტუდენტები) სპორტში ჩართულობის ხელშეწყობას. საერთაშორისო კვლევებით დამტკიცებულია, რომ ადამიანის რეგულარული ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის განმტკიცებას და ჯანდაცვის სისტემის დანახარჯების შემცირებას. - ალტერნატივის განხორციელებას ექნება <u>დადებითი ზეგავლენა</u> სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფების სპორტში ჩართულობაზე. კერძოდ, კანონი ადგენს, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს პარაოლიმპიური (შშმპ), სურდოლიმპიური (ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის) და სპეციალური (გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირები) სპორტული მოძრაობის განვითარებას. აღნიშნულის უზრუნველყოფა მოხდება, მათ შორის, საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფით; - შესაძლოა ალტერნატივამ გავლენა მოახდინოს თვითმმართველობების მიერ სპორტში შშმ პირთა ჩართულობის მიზნით გამოყოფილი <u>ასიგნებების შემცირებაზე</u>. მოქმედ კანონთან შედარებით, წარმოდგენილი ალტერნატივიდან ამოღებულია თვითმმართველი ორგანოების პასუხისმგებლობა უზრუნველყონ შშმ პირების სპეციალური სასპორტო აღჭურვილობა და შეჯიბრებებში მათი მონაწილეობა.

⁵⁷ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტის ეროვნული ფედერაცია (2016)

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

	• ალტერნატივის განხორციელებამ შესაძლოა <u>უარყოფითი გავლენა</u> მოახდინოს სპორტის სფეროში მოწყვლადი ჯგუფების შეღავათებით უზრუნველყოფაზე. წარმოდგენილი კანონის პროექტში, მოქმედ კანონთან შედარებით, <u>ამოღებულია დებულებები</u>, რომლებიც ეხება სახელმწიფო შეღავათებს, კერძოდ: „სახელმწიფო სათანადო დახმარებასა და შეღავათებს უწევს სპორტის სფეროში მოღვაწე პენსიონერებს, ობლებს, ხელმოკლე ოჯახებსა და შშმ პირებს“.
მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG)	რეფორმა ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანს. • ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში მოსახლეობის ჩართულობის ზრდას შეუძლია ხელი შეუწყოს არაგადამდები დაავადებების პრევენციას, ასევე ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების შემცირებას, რაც თავის მხრივ არის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. აღნიშნული ესადაგება მე-3 მიზანს: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის (ამოცანა 3.4: არაგადამდები დაავადებების შემცირება პრევენციისა და მკურნალობის გზით. ამოცანა 3.5: ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება და ალკოჰოლური სასმელების მავნე გამოყენება); • რეფორმა ესადაგება მე-4 მიზანს: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის (ამოცანა 4.3: კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობის ზრდა). რეფორმის ფარგლებში სავალდებულო ხდება სკოლამდელი, სასკოლო და ზოგადად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში მოქმედი აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, მასწავლებლებისა და მწვრთნელებისთვის ფიზიკური აღზრდის შესაბამისი კვალიფიკაციის, უმაღლესი ან/და პროფესიული სასპორტო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და შესაბამისი სპორტული ორგანიზაციის მიერ გაცემული ლიცენზიის ქონა. აღნიშნული გაზრდის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სპორტის დარგში კვალიფიციური პედაგოგებისა და მწვრთნელების რაოდენობას. კვალიფიციური პედაგოგებისა და მწვრთნელების მიერ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში სათანადოდ დაგეგმილი და სწორად განხორციელებული პროგრამები (რომლებიც ითვალისწინებენ ადამიანთა მონაწილეობას მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობისა, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა) ხელს უწყობენ ყველა ადამიანის გაძლიერებას და

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

სოციალურ ჩართულობას, ასევე მათი უფლებებისა და შესაძლებლობების ხელშეწყობას. აღნიშნული ემსახურება მე-10 მიზანს "უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის" (ამოცანა 10.2 „ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის შეზღუდული შესაძლებლობების, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა).

თუმცა, იმისათვის რომ ალტერნატივას ზეგავლენა ჰქონდეს მე-4 და მე-10 მიზანზე, აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა და შესაბამის სასწავლებლებში სწავლების მსურველთა დიდი ნაკადების გამტარუნარიანობა.

- **მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; (ქვემიზანი 5.5: პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სრული და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფა ყველა დონეზე. კრიტერიუმი 5.5.2: ქალთა განაწილება მენეჯერულ პოზიციებზე).**
რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია სპორტში გენდერული თანასწორობისა და ბალანსის დაცვისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა. ასევე, კანონის ამოქმედებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციას ემატება ქალთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა. იმის გათვალისწინებით, რომ ალტერნატივა არ ითვალისწინებს სპორტში გენდერული თანასწორობის კონკრეტულ ზომებს, ასევე ის არ ემსახურება დარგში გენდერული უთანასწორობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრას, ალტერნატივა არ მოახდენს გავლენას მე-5 მიზანზე.
- ალტერნატივის გახორციელება გულისხმობს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას ყოველწლიურად მოაწყოს, განავითაროს ან/და განახორციელოს სარეაბილიტაციო სამუშაოები მათ ტერიტორიის ფარგლებში არსებულ სპორტულ ობიექტებზე. ქალაქებისა და სხვა ტიპის დასახლებებში სპორტული ობიექტების/ინფრასტრუქტურის მშენებლობა ხელს უწყობს მოქალაქეთა ფიზიკური აქტივობის ზრდას. ამასთან, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესში, მოქალაქეთა სხვადასხვა

ჯგუფების (შშმპ, ქალები და გოგონები, მოწყვლადი ჯგუფები) ინტერესების გათვალისწინება ემსახურება მე-11 მიზანს: „ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება (ამოცანა 11.7 ხელმისაწვდომი მწვანე და საჯარო სივრცეების შექმნა ქალაქებსა და დასახლებებში). რეფორმის განხორციელებამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს ამ მიზანზე.

6.2 რაოდენობრივი ანალიზი

განათლების სექტორი

კანონპროექტის მნიშვნელოვანი ცვლილება უკავშირდება განათლების სფეროს. ამ მიმართულებით მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გაზრდა. გარდა ამისა, კანონის დებულებების (მასწავლებელთა სავალდებულო სერტიფიცირება) შესრულება გამოიწვევს მასწავლებელთა პირადი ხარჯების ზრდასაც. ეს მომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ორი კოლეჯი თბილისსა და ქუთაისში, ხოლო სხვადასხვა რეგიონის მასწავლებლებისთვის ორი წლით აღნიშნულ ქალაქებში ცხოვრება დაკავშირებული იქნება სხვადასხვა სახის ხარჯებთან. წინამდებარე RIA-ს ფარგლებში კანონპროექტის სახით მოცემული ალტერნატივა თავისი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე არ იძლეოდა დეტალური შეფასებების გაკეთების საშუალებას. შედეგად, რაოდენობრივი შეფასებები გაკეთდა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებთან დაკავშირებით და არ მოიცავს სხვა დამატებითი ხარჯებისა და პირებზე სხვადასხვა სახის მატერიალური თუ არამატერიალური გავლენის შეფასებას, რაც სხვა შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა სტანდარტული ხარჯთ-სარგებლიანობის ან ხარჯთ-ეფექტიანობის ანალიზში.

კანონპროექტის მიხედვით, „პირი უფლებამოსილია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს უმაღლესი ან/და პროფესიული სასპორტო განათლების დამადასტურებელი დიპლომი, და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“. გარდა ამისა, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის ჩატარების ხანგრძლივობა განისაზღვრება კვირაში არანაკლებ 4 საგაკვეთილო საათით“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით აღირიცხება 11,169 სპორტის მასწავლებელი, რომელთა მხოლოდ 22% ატარებს მხოლოდ სპორტის გაკვეთილებს. ამის საფუძველზე ჩვენ ვაკეთებთ დაშვებას, რომ მასწავლებლების სწორედ ეს კონტიგენტი არიან სპორტის სპეციალისტები (ფლობენ შესაბამის განათლებას). შესაბამისად, კანონპროექტის შედეგად მასწავლებელთა გადასამზადებელი კონტიგენტი იქნება სწორედ დარჩენილი 78%, სპორტის ის მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. ამავე დროს, სპორტის გაკვეთილებს დაწყებით კლასებში ატარებს 8,946-ს მასწავლებელი, რომელთაგან ჩვენი მიდგომით განსაზღვრული სპორტის სპეციალისტი 13%-ია. ასეთი დაშვებების გაკეთება საჭირო გახდა რადგან რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა ვერ მოიპოვა მონაცემები სპეციალიზირებული განათლების მქონე სპორტის მასწავლებელთა ზუსტი რაოდენობის შესახებ.

შესაბამისი მასწავლებლების გადამზადების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის და ინფრასტრუქტურული (სპორტული დარბაზების/მოედნების მოწყობა,

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

რეაბილიტაცია) ხარჯების გათვალისწინებით შეფასდა ორი სცენარი: პირველი სცენარი მოიცავს არასპეციალისტ მასწავლებლებს დაწყებითი კლასების მასწავლებლების გარდა (სულ 905 მასწავლებელი), ხოლო მეორე სცენარი მოიცავს ყველა არასპეციალისტ მასწავლებელს (8684 მასწავლებელი). ინფრასტრუქტურული ხარჯები ერთნაირად შეფასდა ორივე სცენარისთვის, ამავე დროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ინფრასტრუქტურული ხარჯები მინიმალურია აღნიშნული შეფასებით, ვინაიდან არ მოიცავს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს.

დღევანდელი მდგომარეობით, სპორტის სპეციალისტის კვალიფიკაციის მოპოვება შესაძლებელია, ერთი მხრივ, სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამის გავლით ან სპორტის კოლეჯის 2-წლიანი პროგრამის დასრულებით. შეფასებებში გაკეთდა დაშვება, რომ სპორტის არსებული მასწავლებლები სწავლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე არჩევენს გააკეთებენ სპორტის კოლეჯზე, სადაც ერთი წლის სწავლის საფასური არის 1,125 ლარი. კანონპროექტის მეორე სავალდებულო მოთხოვნა ეხება მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის გავლას. შეფასებებში გაკეთდა დაშვება, რომ სპორტის მასწავლებლებს არ აქვთ გავლილი ეს პროგრამა მიმდინარე პერიოდში. გარდა აღნიშნული ხარჯებისა, გათვლებში ასევე დამატებულია ინფრასტრუქტურული ხარჯები, როგორც არის, მაგალითად, სპორტის დარბაზების მოწყობისა და რეაბილიტაციის ხარჯები. ინფრასტრუქტურული ხარჯების შეფასება დაეყრდნო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და მომავალი 10 წლისთვის შეფასდა ყოვეწლიურად საჭირო ფულადი ნაკადების ოდენობა ანუიტეტის მეთოდით. მომავალ 10-წლიან პერიოდში პროგნოზირებული ხარჯების მიმდინარე ღირებულების დასათვლელად გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი განაკვეთი 8.429%-ის დონეზე⁵⁸. დეტალურად შესაბამისი რაოდენობრივი გათვლები და დაშვებები მოცემულია დანართი 1-ში.

⁵⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ცხრილი 13: განათლების მიმართულებით საჭირო საბიუჯეტო ასიგნებების მიმდინარე ღირებულება (მლნ ლარი)

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2020-2029
სცენარი 1: სპორტის არასპეციალისტი მასწავლებლების გადამზადება (დაწყებითი კლასების მასწავლებლების გარდა)											
კოლეჯში გადამზადების ხარჯი	0.10	0.19	0.18	0.16	0.15	0.14	0.13	0.12	0.11	0.05	1.33
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ხარჯი	0.42	0.39	0.51	0.50	0.45	0.41	0.38	0.35	0.32	0.29	4.03
ინფრასტრუქტურული ხარჯი	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	444.28
სულ განათლების მიმართულებით საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები	44.96	45.01	45.11	45.09	45.02	44.98	44.94	44.90	44.86	44.78	449.64
სცენარი 2: სპორტის არასპეციალისტი მასწავლებლების გადამზადება (დაწყებითი კლასების მასწავლებლების ჩათვლით)											
კოლეჯში გადამზადების ხარჯი	0.90	1.66	1.53	1.41	1.30	1.20	1.11	1.02	0.94	1.31	12.39
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ხარჯი	0.42	0.39	1.94	1.79	1.65	1.52	1.40	1.29	1.19	1.09	12.69
ინფრასტრუქტურული ხარჯი	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	44.43	444.28

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

სულ განათლების მიმართულებით საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები	45.75	46.48	47.90	47.63	47.38	47.15	46.94	46.74	46.56	46.83	469.36
---	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	--------

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება


როგორც ცხრილი 13-ში ჩანს, პირველი სცენარით მომდევნო 10-წლიან პერიოდში სახელმწიფო დამატებითი ასიგნებების მიმდინარე ღირებულების ჯამი შეფასდა 449.6 მლნ ლარად, ხოლო მეორე სცენარით - 469.4 მლნ. ლარად. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მეორე სცენარის შემთხვევაში (პირველისგან განსხვავებით), 10-წლიან პერიოდში ყველა არასპეციალისტი მასწავლებლის კოლეჯში გადასამზადებლად საჭირო იქნება დღეს არსებული ორი სპორტის კოლეჯის გარდა დამატებით კოლეჯ(ებ)ის შექმნა არასაკმარისი ადგილების რაოდენობის გამო. გარდა ამისა, ამ შეფასებებში არ არის გათვალისწინებული ისეთი დამატებითი ხარჯები, როგორც არის მასწავლებლის დამატებითი ცხოვრების ხარჯები, რომელიც მომდინარეობს სხვა ქალაქში სწავლის საჭიროებიდან და სწავლის პროცესთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მატერიალური თუ არამატერიალური ხარჯები. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე სპორტის მასწავლებელთა 60-70%-ის ასაკი 45 წელს აღემატება. გათვლებში ასევე არ არის გათვალისწინებული სპორტული დარბაზების/მოედნების შშმ პირებზე ადაპტირების ხარჯი. აგრეთვე სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში არსებული საჯარო და კერძო სკოლების 73% არ არის ადაპტირებული შშმ პირებზე, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ჯერჯერობით ამ მიმართულებით არ არსებობს სტანდარტი. კანონპროექტი კი მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპეციალური აღჭურვილობით უზრუნველყოფასა და ადაპტირებული გარემოს შექმნაზე (მათ შორის, სპეციალიზებული სპორტული ობიექტების მშენებლობით)“. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების 4-საათიანი დატვირთვის შემთხვევაში შესაბამისი მასწავლებლებისთვის დამატებით საჭირო ანაზღაურება 19.3 მლნ ლარს შეადგენს. ასევე, საჭირო იქნება დაახლოებით 3,500 დამატებითი მასწავლებელი.

ჯანდაცვის სექტორი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არაგადამდები დაავადებების მკურნალობაზე 2017-2018 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო ჯამში დაახლოებით 589 მლნ ლარი და 623 მლნ ლარი, შესაბამისად. როგორც გრაფიკი 18-ზე ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დაავადებების შემთხვევის რაოდენობა ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში, ერთეული დანახარჯი და მთლიანი სახელმწიფო ხარჯები კაცებზე ორივე წელს აღემატება იმავე მაჩვენებელს ქალებში. გრაფიკი 18 ასევე აჩვენებს, რომ მხოლოდ ამ ორი წლის განმავლობაში მთლიანად დაავადებების შემთხვევის რაოდენობა 5%-ით გაიზარდა, ხოლო ამ დაავადებებისგან გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევები – 3%-ით.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

გრაფიკი 18: არაგადამდები დაავადებები სქესის მიხედვით, 2017-2018წწ



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი

ფიზიკური არააქტიურობა რიგი დაავადებების (არაგადამდები დაავადებების მნიშვნელოვანი ნაწილის) გამომწვევი მთავარი მიზეზია⁵⁹. ცხრილი 14-ში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება იმ ხუთი დაავადებისთვის, რომლებიც სხვა გამომწვევ მიზეზებთან ერთად უკავშირდება ფიზიკურ არააქტიურობასაც. როგორც ვხედავთ, უშუალოდ აღნიშნული ხუთი დაავადების მკურნალობაზე 2017-2018 წლებში გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსება შეადგენდა დაახლოებით 80 და 86 მლნ. ლარს, შესაბამისად, ეს წარმოადგენს იმავე წლებში მთლიანად არაგადამდებ დაავადებებზე გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების 14%-ს.

⁵⁹ The economic cost of physical inactivity in Europe (2015). An ISCA / Cebr report

ცხრილი 14: არაგადამდები დაავადებების შემთხვევების რაოდენობა და სახელმწიფო დაფინანსება (ლარი) არაგადამდებ დაავადებებზე

	2017			2018		
	შემთხვევების რაოდენობა	სიკვდილიანობის რაოდენობა	საბიუჯეტო დაფინანსება	შემთხვევების რაოდენობა	სიკვდილიანობის რაოდენობა	საბიუჯეტო დაფინანსება
გულის იშემიური დაავადება	34,971	825	54,176,241	36,272	841	56,619,862
ინსულტი	7,821	1,062	12,430,016	8,439	1,055	13,722,820
მე-2 ტიპის დიაბეტი	1,419	46	1,688,927	1,747	58	2,003,027
ძუძუს კიბო	15,522	3	8,729,725	18,101	2	10,231,398
მსხვილი ნაწლავის კიბო	4,671	20	3,371,237	4,564	12	3,578,805
სულ აღნიშნული ხუთი არაგადამდები დაავადება	64,404	1,956	80,396,147	69,123	1,968	86,155,912
სხვა არაგადამდები დაავადებები	387,643	13,067	508,935,191	403,747	13,527	536,829,696
სულ, არაგადამდები დაავადებები	452,047	15,023	589,331,338	472,870	15,495	622,985,608

2016 წლის კვლევა⁶⁰ (რომელიც პრობლემის განსაზღვრის ნაწილშიც განვიხილეთ) ფიზიკური არააქტიურობის გლობალური ეკონომიკური ტვირთის შესახებ აფასებს მსოფლიოს 142 ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) მდგომარეობას უშუალოდ ფიზიკური არააქტიურობისგან გამოწვეულ ხუთ არაგადამდებ დაავადებასთან (გულის იშემიური დაავადება, ინსულტი, მე-2 ტიპის დიაბეტი, მკერდის კიბო და მსხვილი ნაწლავის კიბო) დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი

⁶⁰ Ding, D., Lawson, K.D., Kolbe-Alexander, T.L., Finkelstein, E.A., Katzmarzyk, P.T., Mechelen, W., Pratt, M. (2016). The economic burden of physical inactivity: a global analysis of major non-communicable diseases. *Lancet Physical Activity Series 2 Executive Committee*.

„ფიზიკური აქტიურობისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ხარჯების მიხედვით. შეფასებები გაკეთდა 2013 წლისთვის. მთლიანი ეკონომიკური ხარჯები დაიყო პირდაპირი (ჯანდაცვის სისტემის ხარჯები) და არაპირდაპირი (დაკარგული პროდუქტიულობის ეკონომიკური ხარჯი) ხარჯების მიხედვით. დაკარგული პროდუქტიულობის ეკონომიკური ხარჯი შეფასდა ფრიქციული ღირებულების მიდგომით (friction cost approach) და DALY⁶¹-ს მეთოდით. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი კვლევები იყენებს PAF⁶²-ის მიდგომას, რაც მიუთითებს დაავადების გამოწვევაში კონკრეტული ფაქტორის წილს (ამ შემთხვევაში ფიზიკური არააქტიულობა). მთლიანად ფიზიკური არააქტიურობისგან გამოწვეულ შესაბამის არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ხარჯების შეფასებაშიც სწორედ ამ პროპორციის გამოყენება ხდება. ეკონომიკური და ბიზნესის კვლევის ცენტრის (Cebr) შეფასებით⁶³, ეს ფაქტორი ფიზიკური არააქტიურობისგან გამოწვეული სხვადასხვა არაგადამდებ დაავადებების მიხედვით მერყეობს 6%-დან 12%-მდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესაბამისი დაავადების გამოწვევა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული და უშუალოდ ფიზიკური არააქტიურობის ფაქტორის წილი 6%-12%-ად არის შეფასებული.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფარგლებში სწორედ აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით გაკეთდა პროგნოზები მიმდინარე და მომავალი 10-წლიანი პერიოდისთვის. ამავე დროს, შეფასებებში გათვალისწინებულია ჯანდაცვის ეროვნულ ანგარიშების შედეგები⁶⁴ (მთლიანი ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო, კერძო და საოჯახო მეურნეობების წილის გათვალისწინებით 2017 წლის მდგომარეობით). მომავალ 10-წლიან პერიოდში პროგნოზირებული ხარჯების მიმდინარე ღირებულების დასათვლელად გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შეწონილი განაკვეთი 8.429%-ის დონეზე⁶⁵. დეტალურად შესაბამისი რაოდენობრივი გათვლები და დაშვებები მოცემულია დანართი 2-ში.

ცხრილი 15: ფიზიკურ არააქტიურობასთან დაკავშირებული არაგადამდებ დაავადებებისგან გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები

	2013, კვლევის შედეგები (საერთაშორისო დოლარი)	2013, ლარი (PPP კონვერტირებადი ფაქტორით)	2019-2029, ლარი
<i>ფიზიკური არააქტიურობისგან გამოწვეული ჯანდაცვის ხარჯების მიმდინარე ღირებულება</i>	20,250,000	16,827,750	260,408,126

⁶¹ Disability-Adjusted Life Year (DALY) - ჯანმრთელი ცხოვრების დაკარგული წლები

⁶² Population Attributable Fraction (PAF) - დაავადების გავრცელებაში კონკრეტული რისკ-ფაქტორის წილი

⁶³ The economic cost of physical inactivity in Europe (2015). An ISCA / Cebr report.

⁶⁴ საქართველოს უკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

⁶⁵ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პირდაპირი ჯანდაცვის ხარჯები, მათ შორის:	14,900,000	12,381,900	173,118,138
სახელმწიფო ხარჯები	3,204,000	2,662,524	66,823,969
კერძო ხარჯები/მესამე მხარე	2,473,000	2,055,063	9,913,446
საოჯახო მეურნეობები	9,223,000	7,664,313	96,380,724
არაპირდაპირი ხარჯები (DALY-ს ღირებულება)	5,350,000	4,445,850	87,289,988

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა პირდაპირი (სახელმწიფო, კერძო სადაზღვევო და საოჯახო მეურნეობების) და არაპირდაპირი ხარჯების შეფასება 2019-2029 წლებში ფიზიკურ არააქტიურობასთან დაკავშირებული ხუთი დაავადებისთვის (ცხრილი 14). სულ ჯამურად აღნიშნული ხარჯების მიმდინარე ღირებულება წარმოადგენს დაახლოებით 260. მლნ ლარს განხილულ 10-წლიან პერიოდში. აქედან უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით გასაცემი ასიგნებების მიმდინარე ღირებულება შეფასდა დაახლოებით 67 მლნ. ლარად, დანარჩენი კი გადანაწილდა კერძო კომპანიებისა და საოჯახო მეურნეობების ხარჯებად. არაპირდაპირი ხარჯების ანუ პროდუქტიულობის დანაკარგის მიმდინარე ღირებულების ჯამი შეფასდა 87 მლნ. ლარად. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს შეფასებები გაკეთებულია მხოლოდ ხუთი არაგადამდები დაავადებისთვის. თუ გავითვალისწინებთ არაგადამდები დაავადებების უფრო მეტ რაოდენობას, თავისთავად ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. აღნიშნული ხარჯების თავიდან არიდება წარმოადგენს სარგებელს არა მარტო სახელმწიფო და კერძო პირების ფინანსებისთვის, არამედ სოციალური ჯანდაცვისთვის, აგრეთვე, ეს გულისხმობს სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდას საუკეთესო სიტუაციაში და შესაძლებელია მხოლოდ რეფორმის სწორად გატარების პირობებში.

7. მრავალკრიტერიუმანი ანალიზი

ალტერნატივების შედარება ეფუძნება სამუშაო ჯგუფის წევრთა შეფასებას, რომელიც თავის მხრივ ემყარება კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მოპოვებულ მიგნებებს, ასევე დაინტერესებული პირების მოსაზრებებს. წინამდებარე ალტერნატივის შედარების ცხრილი მეტწილად ემსახურება კვლევის შედეგების ვიზუალიზაციას და მკითხველს ეხმარება მარტივად, მინიჭებული პლუსებისა და მინუსების მიხედვით, შეადაროს ალტერნატივების შესაძლო ეფექტიანობა და მათ შესრულებასთან დაკავშირებული ასპექტები.

შეფასების კრიტერიუმები იყოფა ორ ჯგუფად:

- i) ეფექტიანობის კრიტერიუმებს (1,2,3) მიესადაგება რეფორმის კონკრეტული მიზანი და მისი ქვემიზნები. + და - საერთო რაოდენობა შეესაბამება კონკრეტული მიზნის (ეფექტიანობა) ფარგლებში გათვალისწინებული ქვემიზნების საერთო რაოდენობას.
- ii) რეფორმის განხორციელებადობასთან დაკავშირებული კრიტერიუმებით (4,5,6) მოხდა ალტერნატივების შეფასება („+“ და „-“ მაქსიმალური საერთო რაოდენობა 3; „0“ - ვერ/არ ხერხდება კრიტერიუმით გათვალისწინებული გავლენის შეფასება):
 - a. „განხორციელების სიიოლე“ - რამდენად იოლია სახელმწიფოსთვის (საჭირო ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსის მოცულობის გათვალისწინებით) ალტერნატივის განხორციელება. „-“, ასახავს, რომ ალტერნატივის წარმატებით განხორციელება მოითხოვს დამატებით რესურსებს;
 - b. „პოტენციური რისკების შემცირება“ - რამდენად უწყობს ხელს თითოეული ალტერნატივა მიზნების მიღწევის პროცესში შესაძლო რისკების შემცირებას. „-“, ასახავს, რომ ალტერნატივა ხელს არ უწყობს შესაძლო რისკების შემცირებას;
 - c. „პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია“ - მიზნის მიღწევის შედეგად მოსახლეობის თითოეული ჯგუფის მიერ მიღებული სარგებლის მოცულობა. „-“, ასახავს, რომ ალტერნატივა ხელს არ უწყობს შესაძლო სარგებლის მოცულობის ზრდას.

ცხრილი 16: ალტერნატივების შედარება მრავალკრიტერიუმანი ანალიზის გამოყენებით

	შეფასების კრიტერიუმი	საბაზისო სცენარი	სცენარი 1
1	ეფექტიანობა 1 - მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა	-----	+/- ----
2	ეფექტიანობა 2 - მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა	-----	+/- ---

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

3	ეფექტიანობა 3 - არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში.	-	-
4	მიღწევადობა/მიღწევის სიიოლე	0	--
5	პოტენციური რისკების შემცირება	0	--
6	პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია	0	---

ეფექტიანობა 1 - მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა

მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდაზე ორივე სცენარის ეფექტიანობა არის ძალიან დაბალი. სცენარი 1-ის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის ფლობის ვალდებულება ხელს შეუწყობს სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხარისხიანი საგაკვეთილო პროცესის უზრუნველყოფას (ქვემიზანი 1.2). თუმცა, აღნიშნულის დანერგვასა და აღსრულებას თან ახლავს მნიშვნელოვანი გამოწვევები და სირთულეები. **სცენარი 1-ის მცირე უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონის პროექტში** საუბარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტული მოძრაობების - პარაოლიმპიური, სურდოოლიმპიური და სპეციალური სპორტის განვითარებაზე. კანონის პროექტში ამ მოძრაობასთან დაკავშირებული განმარტებები და სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულება ხელს შეუწყობს ამ მოძრაობების განვითარებას. ამან შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში შშმ პირთა სპორტში ჩართულობასა და მათი ფიზიკური აქტივობის დონის ზრდაზე.

ეფექტიანობა 2 - მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისთვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა

ფიზიკური აქტივობის ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფა უკეთ მიიღწევა **სცენარი 1-ის პირობებში**, რადგან კანონის პროექტის ძალაში შესვლით ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებული ხდება მოაწყოს, განავითაროს ან/და განახორციელოს სარეაბილიტაციო სამუშაოები მათ ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ ობიექტებზე (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით). აღნიშნულმა შესაძლოა ხელი შეუწყოს მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის სპორტული ობიექტებისა და რეკრეაციული ზონების ხელმისაწვდომობის ზრდას. ამ ეფექტის მისაღწევად აუცილებელია მუნიციპალიტეტების მხრიდან გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი კონტექსტი და ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ინტერესები/საჭიროებები.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ნიშანდობლივია, რომ **ორივე სცენარის პირობებში** მინიმალურია მათი ეფექტიანობა ჯანმრთელობაზე სპორტის დადებითი გავლენის თაობაზე ცნობიერების დონის ზრდასა (ქვემიზანი 2.3) და სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფაზე (ქვემიზანი 2.4).

ეფექტიანობა 3 - არაგადამდები დაავადებების შემცირება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში

ორივე სცენარის გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში არაგადამდები დაავადებების შემცირებაზე არის მინიმალური.

მიღწევადობა/მიღწევის სიიოლე

მიღწევადობის კომპონენტი აფასებს რეფორმის განხორციელებისთვის სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსის ოდენობას, რაც აუცილებელია სცენარის აღსრულებისთვის. ამ ნაწილში საბაზისო სცენარი არ არის შეფასებული, ვინაიდან ის წარმოადგენს სტატუს-კვოს და არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ახალი ტიპის ჩარევას. სცენარი 1-ის განხორციელებისთვის საჭირო გახდება სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყოფა, რომელიც უნდა მოხმარდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგთა მრავალრიცხოვანი კორპუსის გადამზადებისთვის საჭირო პირობების შექმნას, ასევე სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და თვითმმართველობებში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციას. სცენარი 1 ასევე მოითხოვს სახელმწიფოს ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რათა მოხდეს დამატებითი კომპეტენციების აღსრულება (მაგ.: სპორტული ობიექტების მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგი, ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისთვის განკუთვნილი საათობრივი ბადის შესრულების მონიტორინგი და სხვა).

პოტენციური რისკების მინიმიზაცია

პოტენციური რისკების მინიმიზაციაში გათვალისწინებულია ალტერნატივის შესაძლებლობა ხელი შეუწყოს მიზნების/ქვემიზნების მიღწევის პროცესში შესაძლო რისკების შემცირებას. სცენარი 2-ის პირობებში არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის/ახლის შექმნისა და სპორტის მასწავლებელთა კორპუსის გადამზადებასთან, ასევე უმაღლესი სასწავლებლების (საკუთრების უფლების მიუხედავად) ვალდებულებასთან - უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა სპორტულ შეჯიბრებებში, დაკავშირებული საფრთხეები. ნიშანდობლივია, რომ რისკის შემცველია მუნიციპალიტეტების ვალდებულება, ყოველწლიურად, უზრუნველყონ სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია/ახლის შექმნა. არსებობს გამოყოფილი სახსრების არაეფექტიანი გამოყენების საფრთხე.

პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაცია

ამ კრიტერიუმით შეფასდა სცენარი 1-ის პირობებში, რეფორმის მიზნების მიღწევის შედეგად, მოსახლეობის თითოეული ჯგუფისთვის შესაძლო სარგებლის (არაგადამდები დაავადებების

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

შემცირების დონე; სპორტული და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის დონე; ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით ცნობიერების დონის ზრდა და სხვ.) მოცულობა. იმის გათვალისწინებით, კანონის პროექტის ძალაში შესვლა სათანადოდ ვერ უწყობს ხელს რეფორმის ვერც ერთ მიზანს, ამ კრიტერიუმით სცენარი 1 შეფასდა სამი მინუსით.

ალტერნატივების შედარების შედეგად, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ვერც ერთი მათგანი სათანადოდ ვერ უწყობს ხელს რეფორმის მიზნების მიღწევას. ამ ალტერნატივების ეფექტიანობა მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდაზე, სპორტული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობასა და არაგადამდები დაავადებების შემცირებაზე უმნიშვნელოა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ალტერნატივების არაეფექტიანობა განპირობებულია იმით, რომ კანონის პროექტის შემუშავების დროს, არ იყო გათვალისწინებული და შეფასებული მისი შესაძლო გავლენა მასობრივი სპორტის განვითარებასა და მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდაზე.

მიზანშეწონილია, რეფორმის მიზნების მისაღწევად, ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ჩარევის უფრო კომპლექსური მიდგომები.

8. რეკომენდაციები

რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფის შეფასებით მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ნორმების მიღებით/ცვლილებით. შესაბამისად, რეფორმის მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია კომპლექსური მიდგომა. ამასთან დაკავშირებით, რეგულირების ზეგავლენის შეფასებაზე მომუშავე ჯგუფმა შეიმუშავა წინამდებარე ძირითადი რეკომენდაციები.

მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდა

1. ჯანმრთელობისთვის ფიზიკური აქტივობისა და ვარჯიშის სარგებლიანობის (ჯანმოს რეკომენდაციების შესაბამისად) თაობაზე **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და დამოკიდებულებების შეცვლის** მიზნით (ასაკობრივი ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით) ეროვნული საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება და განხორციელება. მიზანშეწონილია აღმასრულებელმა ხელისუფლებამ (ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე) ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამების შემუშავება/განხორციელებასთან დაკავშირებული ასიგნებები და უზრუნველყოს სუბიექტებს შორის მჭიდრო კოორდინაცია და ჩართულ პირთა შესაძლებლობების განვითარება.
2. წარმოდგენილი რეფორმის მიზნების და ქვემიზნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აღმასრულებელმა ხელისუფლებამ (ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე) შეიმუშავოს **ფორმალური (გაწერილი) პოლიტიკა** და განსაზღვროს სამიზნე ინდიკატორები. მიზანშეწონილია, ხელისუფლებამ (ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე) ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს რეფორმის მიზნების მიღწევისთვის პროგრამების შემუშავება/განხორციელებასთან დაკავშირებული ასიგნებები და უზრუნველყოს სუბიექტებს შორის მჭიდრო კოორდინაცია. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს თითოეული პროგრამის საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებით აღჭურვა, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის ზრდასთან.
3. მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და სპორტში ჩართულობის **დონის მონიტორინგის და შეფასების მიზნით**, მიზანშეწონილია აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიმუშავოს და **იხელმძღვანელოს** ერთიანი მეთოდოლოგიით, რომელიც საფუძვლად დაედება საზოგადოებრივი აზრის რეგულარულ გამოკითხვას, ასევე შეასრულებს სახელმწიფო პროგრამების შეფასების ინდიკატორის როლს. ამ შემთხვევაში სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვლევების ჩატარება რეგულარულად.

4. მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს კოორდინაცია ჯანდაცვის სისტემის საჯარო ინსტიტუციებსა და სპორტზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის. მიზანშეწონილია, უწყებათა მჭიდრო თანამშრომლობით, რეგიონების მიხედვით არაგადამდები დაავადებების ტენდენციების გათვალისწინებით, დაიგეგმოს კონკრეტული ინიციატივები და პროგრამები, რომელთა შესრულება, გრძელვადიან პერიოდში, ხელს შეუწყობს არაგადამდები დაავადებების რაოდენობის შემცირებას და მათ პრევენციას (აგდ, რომელთა რისკს ამცირებს ფიზიკური აქტივობა და სპორტული ვარჯიში).
5. ღია საჯარო სივრცეებში (პარკი, სარეკრეაციო ზონა) ფიზიკური აქტივობისა და სპორტული ვარჯიშისთვის მეგობრული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია არსებული ვითარების კვლევა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება. მიზანშეწონილია პოლიტიკის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყოს UN HABITAT მიერ შემუშავებული პროგრამის „გლობალური საჯარო სივრცეები“ პრინციპები და მიდგომები⁶⁶, რომლებიც დაკავშირებულია სპორტული ობიექტების, პარკებისა და სარეკრეაციო ზონების განთავსებასთან. ასევე, მნიშვნელოვანია სპორტული ვარჯიშისთვის და ფიზიკური აქტივობისთვის მეგობრული გარემოს უზრუნველყოფის პროცესში ხელისუფლებამ გაითვალისწინოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები და ინტერესები.
6. ცენტრალურმა და თვითმმართველმა ხელისუფლებამ, ქალაქგეგმარებაში და შესაბამის ურბანულ გეგმებში გაითვალისწინოს გადაადგილებისთვის საფეხმავლო და საველოსიპედო ქსელების განვითარება. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კარგად ორგანიზებული და უსაფრთხო გარემო ხელს უწყობს მოსახლეობის დამოკიდებულებების შეცვლას და მათი ფიზიკური აქტივობის ზრდას.

სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის და სპორტში ჩართულობის ზრდა

7. ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა სახალისო და უსაფრთხო ფიზიკურ აქტივობებში ჩართვის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელების ეროვნული გეგმა. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს გადამზადების პროგრამის ინტეგრირება აღმზრდელ-პედაგოგთა მომზადების ერთიან პროგრამაში.
8. მიზანშეწონილია, კანონმდებლობით დადგინდეს, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უზრუნველყოფენ აღსაზრდელთა სავალდებულო, რეგულარულ ფიზიკური აქტივობებში ჩართვას.
9. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად (ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით)

⁶⁶ “Global Public Spaces Toolkit. From Global Principles to local policies and practices”, 2015. UN-Habitat.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ჩასატარებლად, მიზანშეწონილია დადგინდეს სასპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობის/განვითარების საჭიროებები, განისაზღვროს სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ფინანსური და სხვა რესურსი. მნიშვნელოვანია სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გათვალისწინება სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე და საშუალოვადიან დაგეგმვაში.

10. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში **ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის ხანგრძლივობის** ნაწილში სპორტის საკანონმდებლო ბაზა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმას.
11. ასაშენებელ სკოლებში სათანადო სასპორტო ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად **შემუშავდეს და სახელმწიფოს მიერ დამტკიცდეს** (ტექნიკური რეგლამენტი) **სახელმძღვანელო სტანდარტი** (მაგ.: 1 მოსწავლეზე სასპორტო ინფრასტრუქტურის ფართობი). ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სტანდარტის დამტკიცების შემდგომ, უზრუნველყოს მისი შესრულების კონტროლი.
12. მოსწავლეთა რეგულარულ სპორტულ აქტივობებში და მასობრივ სპორტში ჩართულობის მიზნით, ასევე მათთვის სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია **შემუშავდეს სკოლებთან არსებული სპორტული კლუბების პროგრამა (ეროვნულ დონეზე), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი სკოლისგარეშე სასპორტო სერვისების მიწოდებას**. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ამ პროგრამაში თვითმმართველი ორგანოების მონაწილეობა.
13. მიზანშეწონილია ადმასრულებელმა ხელისუფლებამ შეიმუშავოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის **მასწავლებელთა მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა და ეროვნულ დონეზე მისი განხორციელების გეგმა**. გადამზადების პროგრამა უნდა ემსახურებოდეს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სპორტის გაკვეთილების ხარისხის ზრდას. მნიშვნელოვანია, არსებული რესურსის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უზრუნველყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგთა მიერ საგაკვეთილო პროცესის კონტროლი (ხარისხის შემოწმება) და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის შესწავლა/მონიტორინგი.
14. სკოლებში სპეციალური სასპორტო განათლების მქონე მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად **შემუშავდეს კადრების მოზიდვის გეგმა**, მიზანშეწონილია გაიზარდოს სასწავლებელთა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ შესაბამისი სასპორტო განათლება.
15. მიზანშეწონილია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის **მასწავლებლის პროფესიაში შემოსვლის მსურველთათვის** დაწესდეს სავალდებულო მოთხოვნა – გააჩნდეთ უმაღლესი ან/და პროფესიული სასპორტო განათლების დამადასტურებელი მოწმობა.

18-64 წლის ასაკის მოსახლეობის ჩართულობის ზრდა

16. მიზანშეწონილია, სპორტზე პასუხისმგებელმა სამინისტრომ ხელი შეუწყოს (შესაძლებლობების განვითარება, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა) **სპორტული ფედერაციების რეგულარული მასობრივი სპორტული ინიციატივების/ღონისძიებების** (მაგ.: სამოყვარულო ლიგები) განხორციელებას. მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობების ორგანოებმა სპორტული ფედერაციების დაფინანსების პროცესში გაითვალისწინონ რეგულარული მასობრივი ინიციატივების მხარდაჭერა.
17. მასობრივ სპორტში სტუდენტთა ჩაბმის პროცესში აუცილებელია ხელისუფლებამ გაითვალისწინოს **უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის პრინციპი**.
18. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, სპორტულ ფედერაციებსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, შეიმუშაონ და განახორციელონ **დასაქმებულ პირთა ფიზიკური აქტივობის ზრდის და მასობრივ სპორტში ჩართულობის ინიციატივები**.

65+ წლის ასაკის მოსახლეობის ჩართულობის ზრდა

19. მიზანშეწონილია დადგინდეს 65+ ასაკის მოსახლეობის ფიზიკური პასიურობის და **სპორტულ ვარჯიშისაგან თავშეკავების მიზეზები**. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ეს ასაკობრივი კატეგორია აწყდება მკვეთრად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ და პრაქტიკულ ბარიერებს. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ხანდაზმულთა ძირითად ფიზიკურ აქტივობას წარმოადგენს სეირნობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღია საჯარო სივრცეების მოწყობისას შესაბამისი საფეხმავლო/სასეირნო ბილიკების არსებობას.
20. **65+ მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდის მიზნით ხელისუფლების ორგანოებმა** შეიმუშაონ მათთვის შესაბამისი სერვისები და პროგრამები.

9. განხორციელება და მონიტორინგი

რეფორმის განხორციელების დაწყებამდე და მისი განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია მონაცემების მუდმივი მონიტორინგი. გარდა ამისა რეფორმის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგომ მონაცემების შეგროვება აუცილებელია რეფორმის ზეგავლენის შემდგომი შეფასებისა და საჭიროებისამებრ ცვლილებების განსახორციელებლად. ცხრილი 17 აჯამებს შესაგროვებელ მონაცემებს.

ცხრილი 17: მონიტორინგისას შესაგროვებელი მონაცემები

ინდიკატორი	სიხშირე
მოსახლეობის ჩართულობა ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში	ყოველწლიურად
მოსახლეობის მიერ ჯანმოს რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი	ყოველწლიურად
მოსახლეობის სპორტში ჩართულობასთან დაკავშირებით მოსახლეობის გამოკითხვა (სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის შეგროვების ჩათვლით)	ყოველწლიურად
არაგადამდები დაავადებების რაოდენობა დაავადებათა ჯგუფების, დაავადებულთა ასაკისა და სქესის მიხედვით	ყოველწლიურად
სპორტის ბიზნესში ჩართული კომპანიები (ბრუნვა, დამატებული ღირებულება, დასაქმებულთა რაოდენობა)	ყოველწლიურად

10. დანართი 1 - თვითმმართველობების არსებული პროგრამები ფიზიკური აქტივობისა და სპორტის მიმართულებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი პასუხისმგებელია დარგში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზების კოორდინაციაზე, ასევე ადგილობრივი მთავრობის მიერ დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაზე.

2015-2018 წლებში დეპარტამენტი ახორციელებდა 6 პროგრამას, რომელთა მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები დაკავშირებულია პროფესიული სპორტის განვითარებასთან, მაგალითად: ღონისძიებებში, რომლებიც გაიმართა სპორტის 36 სახეობაში, მონაწილეობა მიიღო 3,900 სპორტსმენმა და მწვრთნელმა, ფულადი ჯილდო გადაეცა 330-მდე სპორტსმენს და მწვრთნელს, ნაკრებ გუნდებში დაკავებულია 320 მონაწილე, პროგრამის ფარგლებში ხდება დამსახურებული მუშაკების ფინანსური მხარდაჭერა და სხვა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდის და მასობრივი სპორტის განვითარების კუთხით.

ცხრილი 18: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ზოგიერთი სასპორტო პროგრამების ასიგნებები (ფაქტი) წლების მიხედვით, ლარი

პროგრამული კოდი ⁶⁷	პროგრამის დასახელება	2015	2016	2017	2018
05 12 02 01	სპორტული ღონისძიებები	1,264,735	1,239,227	1,351,845	1,342,889.2
05 12 02 02	აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები	366,820	364,452	390,470	452,479.7
05 12 02 03	სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა	420,507	649,745	773,526	773,240.8

⁶⁷ პროგრამების კოდები მითითებულია 2015 წლის მდგომარეობით, 2016-2017 წლებში პროგრამული კოდის პირველი 4 ციფრი იყო - 05 13, ხოლო 2018 წელს - 05 14.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

05 12 02 06	მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება	105,100	131,163	144,500	151,737.5
05 12 02 09	სპორტული ინვენტარის შეძენა	-	-	-	777,079.4
05 13 02 11	აჭარის ნაკრები გუნდების წევრების პირველობების და ჩემპიონატების გამარჯვებულებისა და პრიზიორების პირადი და მთავარი მწვრთნელების სპორტული ფორმებით აღჭურვა	-	-	400,000	-
ჯამი:		2,157,162	2,384,587	3,060,341	3,497,426

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა


სპორტის სფეროში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს სამ ძირითად პროგრამას, კერძოდ: "სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერა", "ტურნირები და ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში", "ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოება". ამ პროგრამების ძირითადი მიზანია აფხაზეთიდან დევნილი გუნდების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ხელშეწყობა, ასევე სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პერსონალის ფინანსური ხელშეწყობა, ტურნირებში მონაწილეობის საშუალებების შენატანები, მოედნების იჯარის გადახდა, კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურება, ტურნირების ჩატარება და სპორტსმენთა დაჯილდოება.

ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაშია სსიპ „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი“, რომლის ამოცანაა სხვადასხვა დონის ეროვნულ და საერთაშორისო ჩემპიონატებზე კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებებისთვის კანდიდატების მომზადება და სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისთვის სათანადო პირობების შექმნა⁶⁸.

⁶⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება N25/მ, 2016 წლის 10 თებერვალი, ქ. თბილისი.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

გრაფიკი 19: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“⁶⁹ და სსიპ „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრის“ ასიგნებები (ფაქტი) წლების მიხედვით, ლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

საქალაქო სამსახურის ძირითადი პროგრამის „სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა“ მიზანია საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, თბილისის ჩემპიონატების ჩატარება და სპორტის სფეროს მუშაკთა ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, პროგრამა ემსახურება მასობრივი სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ამ მიზნით საქალაქო სამსახური, ქალაქის მასშტაბით, გამოყოფს დაფინანსებას სპორტული კლუბებისა და სექციების საქმიანობის უზრუნველსაყოფად (როგორც მერიის დაქვემდებარებაში არსებულს, ასევე დამოუკიდებელ სუბიექტებს), ასევე აფინანსებს ეროვნული და რეგიონული სპორტული ფედერაციების ღონისძიებებს.

2015-2018 წლებში თბილისი მერიის სპორტზე გამოყოფილი ბიუჯეტი თითქმის გაორმაგდა და 2018 წელს დაახლოებით 13,800,200 ლარს შეადგენდა.

თბილისის მერიას არ გააჩნია ქალაქის ტერიტორიაზე მასობრივი სპორტის განვითარების ან მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის დონის ზრდის ფორმალური პოლიტიკა/სტრატეგია.

⁶⁹ „სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 08) აერთიანებს რამდენიმე ქვეპროგრამას, გრაფიკში მითითებულია პროგრამის საერთო ღირებულება

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ცხრილი 19: ქალაქ თბილისის მერიის სასპორტო პროგრამების ასიგნებები (ფაქტი) წლების მიხედვით, ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამის, ქვეპროგრამის დასახელება / წელი	2015	2016	2017	2018
"სპორტის განვითარების ხელშეწყობა"					
08 06 01	სპორტული ღონისძიებები	2,073,166	2,231,207	3,626,047	6,275,577.9
08 06 02	მწრთვებელთა მხარდაჭერა	2,690,000	2,893,750	2,235,000	2,250,625.0
08 06 03	სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია	301,450	430,736	360,967	14,250.0
08 06 04	სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა	784,210	5,060,957	6,377,664	3,811,476.3
08 06 05	წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება	360,000	367,025	351,625	352,250.0
08 06 06	პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა	949,164	948,270	946,482	1,096,010.1
ჯამი:		7,157,990	11,931,945	13,897,784	13,800,189

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

სპორტის სფეროში, ყოველწლიურად, ქუთაისის მერია ახორციელებს „სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამას, რომელიც დაახლოებით 10 ქვეპროგრამას აერთიანებს. მასობრივი სპორტის მიმართულებით, აღსანიშნავია, მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ გამოყოფილი ასიგნებები, რომელიც „სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ მთლიანი პროგრამის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარია. მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოხსენებული გაერთიანების შემადგენლობაში შედის თერთმეტი სპორტსკოლა, საცხენოსნო კლუბი, სპორტის სასახლე და ყინულის მოედანი, რომლებშიც 40-მდე სპორტის სახეობაში ახალგაზრდები უფასოდ ვარჯიშობენ.

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ამასთან, „სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მერია ახორციელებს ქვეპროგრამას „სპორტული ღონისძიებების დაფინანსება“. ქვეპროგრამა ემსახურება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება, სპორტული კლუბების სუბსიდირება, პროფესიონალ სპორტსმენთა ტრანსპორტირება და დაბინავება, სპორტის მუშაკთათვის სტიპენდიებისა და სოციალური დახმარების გამოყოფა, წარმატებულ სპორტსმენთათვის ფულადი ჯილდოების გამოყოფა და სხვა.

ცხრილი 20: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის „სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ასიგნებები (ფაქტი) წლების მიხედვით

პროგრამის, ქვეპროგრამის დასახელება / წელი	2015	2016	2017	2018
„სპორტის განვითარების ხელშეწყობა“				
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	628,842	891,992	1,032,189	848,860
ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება	3,502,088	3,809,482	3,526,489	3,531,961
შპს საკალათბურთო კლუბი "ქუთაისი 2010"	869,961	917,249	1,059,993	949,998
ააიპ "ცინულის მოედანი"	380,117	117,075	-	-
სპორტის სასახლე	205,272	209,588	195,805	34,201
ააიპ "ქუთაისის ტაევეკონდოს სპორტული კლუბი"	18,130	23,520	18,180	1,935
მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა	249,683.38	-	-	-
სპორტული ტრენაჟორების მოწყობა	44,672	158,510	277,512	-
შპს საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი	2,203,600	1,382,900	362,212	-
ააიპ ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015	84,294	124,193	152,494	199,488
სპორტული მოედნების და სასრილო ფიცრის ე.წ. „სკეიტბორდის“ მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	611,989	-	-
ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი	-	627,100	-	-
სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	-	-	926,450	-
შპს "საფეხბურთო კლუბი მართვე"	-	-	27,599	114,994
შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი"	-	-	96,631	245,994
სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია				1,089,060
ჯამი:	8,186,658	8,873,596	7,675,555	7,016,492

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია, სპორტის სფეროში, ახორციელებს ორ ძირითად პროგრამას. "სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობის" ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტთან არსებული სპორტული კლუბების/სექციების ფუნქციონირება (მაგ.: საჭადრაკო სკოლა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, საფეხბურთო კლუბი), ხოლო პროგრამის - "სპორტული ღონისძიებები" - ფარგლებში ხორციელდება სპორტული შენობა-ნაგებობების, სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვა, მოვლა-პატრონობა. მერიის სასპორტო პროგრამების ძირითადი სამიზნე ჯგუფები არიან ახალგაზრდა სპორტსმენები და მწვრთნელები. მასობრივი სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს მის დაქვემდებარებაში მოქმედ სპორტულ კლუბებსა და სექციებს. ნიშანდობლივია, რომ 2015-2018 წლებში ამ პროგრამაზე გამოყოფილი ასიგნებების რაოდენობა მცირდება, რაც შესაძლოა მიუთითებდეს კლუბებისა და სექციების დაფინანსების შემცირებაზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის ზრდის ან სპორტში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობის ფორმალური პოლიტიკა/სტრატეგია.

ცხრილი 21: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სასპორტო პროგრამების ასიგნებები (ფაქტი) წლების მიხედვით

პროგრამული კოდი ⁷⁰	პროგრამის, ქვეპროგრამის დასახელება / წელი	2015	2016	2017	2018
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,044,500	2,994,735	2,091,483	2,385,900.0
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2,593,409	2,704,375	1,745,369	1,505,100.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	451,091	290,360	346,114	880,800.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

⁷⁰ პროგრამების კოდები მითითებულია 2015 და 2016 წლის მდგომარეობით, 2017-2018 წლებში იმავე პროგრამებისთვის კოდების პირველი 4 ციფრი იყო - 03 01

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

11. დანართი 2 - სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურის მინიმალური მოთხოვნები ევროკავშირის ქვეყნებში

საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვამ ⁷¹ აჩვენა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სამართლებრივად დარეგულირებულია სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურისადმი მინიმალური მოთხოვნები.

ლიეტუვაში სავალდებულოა სკოლას გააჩნდეს სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური გასახდელებით (გოგონებისა და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე). თითო მოსწავლეზე გასახდელის მინიმალური ფართობი არ უნდა იყოს 0,35 მ²-ზე ნაკლები. სპორტული ღია მოედანი თავისი ფართობით უნდა იკავებდეს სკოლის ტერიტორიის 35-40%-ს. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში 1000 მოსწავლეზე მეტი ირიცხება, სკოლას უნდა გააჩნდეს საფეხბურთო მოედანი, რომელიც ფართობი უნდა აღემატებოდეს 3000 მ²-ს.

ხორვატიაში სკოლებში კლასების საფეხურისა და რაოდენობის გათვალისწინებით განისაზღვრება სპორტული დარბაზის მინიმალური პარამეტრები. კერძოდ:

- სკოლისთვის, რომელსაც დაწყებით საფეხურზე გააჩნია 8 კლასი, სავალდებულოა ჰქონდეს ერთი სპორტული დარბაზი, რომლის პარამეტრებია 15 x 27 x 6 m;
- სკოლისთვის, რომელსაც დაწყებით საფეხურზე გააჩნია 12 კლასი, სავალდებულოა ჰქონდეს სპორტული დარბაზი ორი მოედნით, რომლის პარამეტრებია 30 x 20 x 7 m;
- სკოლისთვის, რომელსაც დაწყებით საფეხურზე გააჩნია 16 კლასი, სავალდებულოა ჰქონდეს შესაბამისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მქონე სპორტული დარბაზი სამი მოედნით, რომლის პარამეტრებია 30 x 20 x 7 m.

საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხორვატიაში სკოლებისადმი არის შემდეგი მოთხოვნები:

- სკოლას, რომელსაც გააჩნია 16-მდე კლასი უნდა გააჩნდეს შესაბამისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მქონე სპორტული დარბაზი ორი მოედნით, რომლის პარამეტრებია 30 x 27 x 8 m;
- სკოლას, რომელსაც 16 და მეტი კლასი აქვს, უნდა გააჩნდეს სპორტული დარბაზი 3 მოედნით, რომლის პარამეტრებია 45 x 27 x 8 m.

⁷¹ საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის მიერ მომზადებული მიმოხილვის საფუძველზე

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

12. დანართი 3 - რაოდენობრივი ანალიზი განათლების სექტორში

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
სპორტის მასწავლებლების საერთო რაოდენობა	11,169											
მათ შორის, სპორტის მასწავლებლები დაწყებით კლასებში	8,946											
სპორტის სპეციალისტი მასწავლებლების რაოდენობა	2,485											
მასწავლებლის ერთწლიან მოსამზადებელ პროგრამაზე სპორტის სპეციალისტების (2485-იანი) კონტიგენტის განაწილება			249	249	249	249	249	249	249	249	249	244
არასპეციალისტი მასწავლებლების რაოდენობა	8,684											
სპორტის სპეციალისტები დაწყებით კლასებში	1,167											
მათ შორის, სპორტის არასპეციალისტები/დამრიგებლები დაწყებით კლასებში	7,779											

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

სულ გადასამზადებელი კონტიგენტი (დაწყებითის დამრიგებლების გარდა) (სცენარი 1)	905											
ორწლიან კოლეჯში 905-იანი კონტიგენტის განაწილება			100	200	200	200	200	200	200	200	205	105
მასწავლებლის ერთწლიან მოსამზადებელ პროგრამაზე 905-იანი კონტიგენტის განაწილება					100	126	113	113	113	113	113	114
სულ გადასამზადებელი კონტიგენტი (დაწყებითის მასწავლებლების ჩათვლით) (სცენარი 2)	8,684											
ორწლიან კოლეჯში 8684-იანი კონტიგენტის განაწილება			868	1,736	1,736	1,736	1,736	1,736	1,736	1,736	1,736	2,612
მასწავლებლის ერთწლიან მოსამზადებელ პროგრამაზე 8684-იანი კონტიგენტის განაწილება					1,086	1,086	1,086	1,086	1,086	1,086	1,086	1,082
ლარი	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	სულ 2020-2029	

სცენარი 1: სპორტის არასპეციალისტი მასწავლებლების გადამზადება (დაწყებითი კლასების მასწავლებლების გარდა)

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

კოლეჯში გადამზადების ხარჯი	112,500	225,000	225,000	225,000	225,000	225,000	225,000	225,000	230,625	118,125	2,036,250
კოლეჯში გადამზადების ხარჯი (დისკონტირებული)	103,755	191,378	176,501	162,780	150,126	138,455	127,692	117,766	111,326	52,588	1,332,366
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ხარჯი	460,650	460,650	645,650	693,750	669,700	669,700	669,700	669,700	669,700	662,300	6,271,500
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ხარჯი (დისკონტირებული)	424,840	391,814	506,478	501,905	446,841	412,105	380,069	350,523	323,274	294,849	4,032,699
ინფრასტრუქტურულ ხარჯი	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	444,276,926
სულ განათლების მიმართულებით საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები (დისკონტირებული)	44,956,287	45,010,885	45,110,671	45,092,377	45,024,659	44,978,253	44,935,453	44,895,981	44,862,293	44,775,130	449,641,990
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	სულ 2020-2029

სცენარი 2: სპორტის არასპეციალისტი მასწავლებლების გადამზადება (დაწყებითი კლასების მასწავლებლების ჩათვლით)

კოლეჯში გადამზადების ხარჯი	976,500	1,953,000	1,953,000	1,953,000	1,953,000	1,953,000	1,953,000	1,953,000	1,953,000	2,938,500	19,539,000
----------------------------------	---------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	-----------	------------

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

კოლეჯში გადამზადების ხარჯი (დისკონტირებული)	900,589	1,661,160	1,532,025	1,412,929	1,303,092	1,201,793	1,108,368	1,022,206	942,743	1,308,191	
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ხარჯი	460,650	460,650	2,469,750	2,469,750	2,469,750	2,469,750	2,469,750	2,469,750	2,469,750	2,453,100	20,662,650
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის ხარჯი (დისკონტირებული)	424,840	391,814	1,937,388	1,786,780	1,647,881	1,519,778	1,401,635	1,292,675	1,192,186	1,092,096	
ინფრასტრუქტურულ ხარჯი	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	44,427,693	444,276,926
სულ განათლების მიმართულებით საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები (დისკონტირებული)	45,753,122	46,480,666	47,897,106	47,627,402	47,378,665	47,149,264	46,937,695	46,742,574	46,562,621	46,827,979	469,357,095
დისკონტის განაკვეთი											
8.43%											

სპორტის კოლეჯში ერთი წლის სწავლის საფასური

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

1,125	ლარი
მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის (60-კრედიტიანი, ერთწლიანი) საფასური	
1,850	ლარი

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა სკოლებში (აჭარის და აფხაზეთის ა/რ-ების გარდა):

	რაოდენობა	ხარჯი სულ (ლარი)
სარეაბილიტაციო დარბაზები	536	49,320,000
ნაწილობრივ სარეაბილიტაციო დარბაზები	310	19,020,000
სკოლები, რომლებსაც არ აქვს დარბაზი (100 ბავშვზე ზემოთ)	424	100,000,000
ავარიული დარბაზები	110	69,000,000
სარეაბილიტაციო მოედნები	610	31,150,000
სკოლები, რომლებსაც მოედანი არ აქვს (100 ბავშვზე ზემოთ)	684	23,940,000

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) რაოდენობა საქართველოში (2018 წლის მდგომარეობით)		სკოლების რაოდენობა, რომელთა სპორტული დარბაზი/მოედანი არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის	
კერძო სკოლა	საჯარო სკოლა	კერძო სკოლა	საჯარო სკოლა
229	2085	32	1665

„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება

13. დანართი 4 - რაოდენობრივი ანალიზი ჯანდაცვის სექტორში

ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიში⁷²:

(ლარი)	2012	2013	2014	2015	2016	2017
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი	2,140,000,000	2,202,000,000	2,413,000,000	2,472,000,000	2,817,000,000	2,829,000,000
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯი	450,000,000	547,000,000	693,000,000	913,000,000	1,067,000,000	1,092,000,000
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯი, მათ შორის:	1,690,000,000	1,655,000,000	1,720,000,000	1,559,000,000	1,750,000,000	1,737,000,000
კერძო დაზღვევა	81,000,000	98,000,000	97,000,000	115,000,000	159,000,000	162,000,000
ჯიბიდან გადახდები	1,609,000,000	1,557,000,000	1,623,000,000	1,444,000,000	1,591,000,000	1,575,000,000

	2017
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯის წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯში	39%
ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯის წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯში	6%
ჯანდაცვაზე საოჯახო მეურნეობების (ჯიბიდან გადახდების) დანახარჯის წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯში	56%

მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის კონვერტირების ფაქტორი, მშპ (ლარი ერთ საერთაშორისო დოლარზე), 2013 ⁷³	0.831
მიზნობრივი ინფლაციის დონე (ეროვნული ბანკი) 2016 წლიდან	3%

⁷² ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშები

⁷³ მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტით კონვერტაციის ფაქტორი

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)
11, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა
Tbilisi, 0131 Georgia
Tel: 995-032-254-4000
www.usaid.gov/georgia